პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით.

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია:
ტფილისი, კრუზენ. ქ. № 4,
მე-3 სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივნის 10—58

მთავარი კანტორა.
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24
მე-2 სართული ტელეფ. 5—48

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.250.000 მან. განცხადება 15 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 122 ხუთშაბათი 31 მაისი, 1923 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 40,000 მან.
№ 122

დღიური

ამხ. ლენინის წერილი.

გაქცეულ ადმირალ სტარკს გემზე აუჯანყდა ეკიპაჟი.

რურის ოლქში გამოცხადებულია საერთო გაფიცვა, რომელშიც მონაწილეობას ღებულობენ ორი მილიონი მუშა.

განახლდა მოლაპარაკება ამხ. კრასინს და ინგლისის მთავრობას შორის.

შემთანხმებელთა კონგრესზე ინგლისის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ინგლისის მუშათა კლასი გავლენას მოახდენს ინგლისის მთავრობაზე რუსეთის საკითხში.

ხუთშაბათს, 31 მაისს, საღამოს 6 საათზე საქართვ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის შენობაში შესდგება

თბილისის კომიტეტის პლენუმის სხდომა.

ყველა წევრებისა და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა
თბილისის კომიტეტის მდივნის მაგიერ: **რუბენი.**

ამიერ კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან მოეწყო

„ბაქოს დახვრეტილ 26 კომისარის ოჯახების დამხმარე კომისია“,

სადაც თავი მოეყრება აღნიშნულ ოჯახებისათვის ყოველგვარ დახმარებას. სწორი აღრიცხვისათვის სთხოვენ ყველას აცნობონ კომისიას თავისი მისამართი.
ამიერ-კავკასიის ცენტრალმასკომის მდივანი: **ტალიბლი.**

პარასკევს 1 ივნისს, საღამოს 6 საათზე შესდგება საქართველოს კომპარტიის

ცეკას პლენუმის სხდომა

(რუსთაველის პრ. № 22).
ყველა წევრებისა და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.
საქართ. კომპარტიის ცეკას მდივანი: **მიხ. კახიანი.**

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა
პარასკევს, 1 ივნისს,

ერთიან პარტიულ დღეს

დასმული იქნეს დღის წესრიგში შემდეგი საკითხები: 1. მე-XII ყრილობის რეზოლიუციების განხილვა. 2. მრეწველობის და სოფლის საგადასახადო პოლიტიკის შესახებ.
ტფილისის კომიტეტის მდივანი: **რუბენი.**

საბჭოთა კავშირისა და სპარსეთის სავაჭრო ხელშეკრულებისათვის

საბჭოთა მთავრობა, ქვეყნის მეურნეობის აღორძინებასთან ერთად, ცდილობს ფართე ეკონომიური ურთიერთობა გააჩაღოს სხვა სახელმწიფოებთან, კერძოდ აღმოსავლეთის ხალხებთან, რომლებისათვის განსაკუთრებით ძვირფასი უნდა იყოს ჩვენთან საქმიანი კავშირის გაბმა. ძვირფასია იმიტომ, რომ საბჭოთა ხელისუფლება, წინააღმდეგ ჩვენი მტრების ლაყბობისა, არ ისახავს იმპერიალისტურ მიზნებს, ის მხოლოდ მოწადინებულია ეკონომიურ თანამშრომლობას ურთიერთი თანასწორობის და ინტერესთა გონიერი გონების საფუძველზე. ამგვარად, აღმოსავლეთის დამონავებულ ხალხების დაახლოვება საბჭოთა კავშირთან თავის-თავად ხელს უწყობს მათი ეკონომიურ და პოლიტიკურ განთავისუფლებას.

დღეს ჩვენ გვინდა შევეხოთ რუსეთ-სპარსეთის დამოკიდებულების საკითხს. კარგა ხანია, რაც წარმოებს მუშაობა სპარსეთსა და საბჭოთა კავშირ შორის სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად.

წინედ ეს ორი ქვეყანა მჭიდროდ იყვნენ ერთმანეთთან გადაბმულნი ეკონომიურად. რუსეთის მრეწველობის პროდუქციას დიდი გასავალი ჰქონდა სპარსეთში, მეორე მხრივ სპარსეთის ნედლეული ხელსაყრელ ბაზარს ჰპოულობდა რუსეთში.

ყველაზე მეტი საქონელი სპარსეთში შედიოდა რუსეთიდან. 1910—17 წლებში სპარსეთის მთელი იმპორტის დაახლოვებით ნახევარს შეადგენდა რუსეთის საქონელი, 1917 წლიდან კი ეს პროცენტი კლებულობს და 1920—21 წლებში დადის 4,1-მდე.

დაახლოვებით ასეთივე სურათს იძლევა სპარსეთიდან გაზიდულ საქონლის ცხრილი. 1910—17 წლებში სპარსეთიდან გაზიდული საქონლის 60—65 პროც. შედიოდა რუსეთში. ამ დროიდან კი ეს რაოდენობა თანდათან კლებულობს და 1920—21 წლებში გვაქვს მხოლოდ 2,3 პროც.

იმპერიალისტური ომით, უფრო კი რევოლიუციით და სამოქალაქო ომით შექმნილ პირობებმა თითქმის სავსებით მოშალეს აღებ-მიცემობა სპარსეთსა და რუსეთ შორის.

რუსეთის ადგილი დაიკავა უმთავრესად ინგლისმა, რომლის მტაცებლური კაპიტალი ეწევა სპარსეთის ხალხის უსაზღვრო ექსპლოატაციას. ინგლისის კაპიტალი ფლტავს სპარსეთის სიმდიდრეს, ის ეკონომიურად იმონებს ამ ქვეყანას, ამასთან ინგლისის მთავრობა ცდილობს სპარსეთის ხალხი ამყოფოს პოლიტიკურ მონობაშიც.

ამიტომ გასაგებია, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა არაფერს ზოგავს, რათა ხელი შეუშალოს სპარსეთის დაახლოვებას საბჭოთა კავშირთან, ის ცდილობს ჩაშალოს ამ ორ ქვეყანას შორის მოსალოდნელი სავაჭრო ხელშეკრულების დადება, ვინაიდან მათ შორის ნორმალური ეკონომიურ დამოკიდებულების აღდგენა იქნებოდა დასაწყისი ინგლისის ჰეგემონიის დაკარგვის, სპარსეთის ეკონომიურ და პოლიტიკურ განთავისუფლების.

მაგრამ თეირანის დღევანდელ მთავრობას, სპარსეთის ხალხს, მის რევოლიუციონურ-ნაციონალურ წრეებს კარგად აქვთ შეგნებული, ერთი მხრივ, მათი სახელმწიფოსათვის მოსალოდნელი საფრთხე ინგლისის იმპერიალიზმისა გან, მეორე მხრივ, ის ყოველმხრივი სარგებლობა, რომელსაც მოუტანს სპარსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივობის განმტკიცებას და მისი მეურნეობის აღორძინებას მჭიდრო კავშირის გაბმა საბჭოთა რესპუბლიკებთან.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია ავღნიშნოთ, რომ სპარსეთის ზოგიერთ სახელმწიფო მოღვაწეებს, როგორიცაა, მაგ. სამხედრო მინისტრი რიზა-ხანი, კიდევ კარგად არა აქვთ შეგნებული ჩვენი საერთო ინტერესები, ისინი შეიძლება ჯერ საკმაოდ ვერ განთავისუფლებულან ძველი შეხედულებიდან მპყრობელ რუსეთზე და კარგად ვერ შეუთვისებიათ აზრი საბჭოთა ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ისინი მდგომარეობას სისწორით შეაფასებენ და დღევანდელ მთავრობას ამოუდგებიან გვერდში სპარსეთის ნაციონალურ ინტერესებისათვის სასარგებლო პოლიტიკის წარმოებაში საბჭოთა ფედერაციის მიმართ.

რაც შეეხება იმ მცირე ჯგუფს, რომელიც იმყოფება ინგლისის აგენტების გავლენის ქვეშ და ამღვრევს წყალს, ჩვენ იმედი გვაქვს, სპარსეთის შეგნებული ხალხი გარიყავს ინგლისის იმპერიალიზმის ამ აშკარა აგენტებს.

სპარსეთის სახელმწიფოს და მისი ხალხის ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები, ისევე როგორც ინტერესები საბჭოთა კავშირის, კერძოთ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების, მოითხოვენ მჭიდრო ურთიერთ თანამშრომლობას და ამიტომ ვფიქრობთ, ამ საქმის ჩაფუშვას ვერავინ მოახერხებს.

ამხ. ლენინის წერილი „ჩვენ რევოლიუციაზე“

მოსკოვი. 30 მაისი. სუხანოვის წერილის გამო „პრავდაში“ მოთავსებულია ამხ. ლენინის წერილი „ჩვენი რევოლიუციის შესახებ“. ამხ. ლენინი მიუთითებს, რომ სუხანოვის წერილების გადათვალიერების დროს თვალში გეცემა ჩვენი წვრილ-ბურჟუაზიული დემოკრატების ისე, როგორც მეორე ინტერნაციონალის გმირების პედანტობა. მთელი თავისი მოქმედებით ისინი ააშკარავებენ თავის რეფორმისტულ სიმხდალეს, მათ ეშინიათ ბურჟუაზიისაგან ჩამოშორდეს და მით უფრო მასთან კავშირის გაწყვეტის. მათთვის სრულიად უცხოა ის აზრი, რომ მიუხედავათ მსოფლიო ისტორიის განვითარების კანონ-შეწონილობისა, არის განვითარების ცალკე პერიოდები, რომლებიც თავისებური არიან ან ფორმით ან ისტორიის განვითარების მსვლელობით.

მათ აზრადაც არ მოსდით, რომ რუსეთი, რომელიც დევს ერთის მხრით ცივილიზაციური და მეორე მხრით ცივილიზაციაში ახლათ ჩაბმული მთელი აღმოსავლეთის ქვეყნების საზღვარზე, გამოიჩენდა და უნდა გამოეჩინა ზოგიერთი თავისებურებანი, რომლებიც დევს მსოფლიო განვითარების საერთო ხაზზე. მაგრამ რუსეთის რევოლიუცია განსხვავდება დასავლეთ ევროპის ქვეყნების სხვა რევოლიუციებიდან თავისებურებობით, რომელსაც შეაქვს ახალი რამ აღმოსავლეთის ქვეყნებში გადასვლის დროს.

უსაზღვროდ შაბლონიურია ის დებულება, რომ ჩვენ არ ვართ კიდევ გაზრდილი სოციალიზმისთვის, რომ ჩვენში არ არის წინასწარი პირობები სოციალიზმისათვის. თუ სოციალიზმის დასამყარებლად საჭიროა კულტურის განსაზღვრული დონე, რათ არ შეიძლება დავიწყოთ ამ დონის მისაღწევად წინასწარი პირობების რევოლიუციონური გზით მოპოება. და შემდეგ კი მუშურ-გლეხური ხელისუფლების და საბჭოთა წყობილების ნიადაგზე გავსწიოთ წინ, რომ დავეწიოთ სხვა ერებს

სახელმწიფო აპარატის გაჯანსაღების საკითხი

(დასასრული*).

4. შტატების 35 პროც. შემოკლება.

სახელმწიფო აპარატის გამარტივება და გაიაფება არ შეიძლება იმ ზომებით, რომლებსაც ჩვენ მივმართავთ ხოლმე. ავიღოთ მაგალითად დაწესებულებათა შტატების შემოკლება. ამ უკანასკნელ დრომდე საშტატო კომისიის რიცხვი იმდენი იყო, რამდენიც მისი შედგენის სურვილი. ერთ და იგივე დაწესებულებას ერთსა და იმავე დროს რამოდენიმე კომისია ამოკლებდა. დაწესებულებას ერთს დღეს ერთ კომისიიდან მოსდის განკარგულება შემოკლების შესახებ, მეორე დღეს მეორიდან. რომლის განკარგულება არის სავალდებულო გასატარებლად—არავინ იცის (თითოეული კომისია შემოკლების სხვა და სხვა პროცენტებს აწესებდა). იყო ასეთი შემთხვევა: ერთ დაწესებულებას უნდა მიეღო ჯამაგირების ფულები მოსამსახურეთათვის დასარიგებლად გასული თვისათვის. მიღების დროს ფინანსთა კომისარიატში დაწესებულების წარმომადგენელს განუცხადეს, რომ გასული თვის მათი მისაცემი თანხა შემცირებულია 20 პროცენტით. შემდეგ გამოირკვა, რომ საბიუჯეტო კომისიას, რომლის მოვალეობა არის მხოლოდ დაწესებულებათა სმეტის განხილვა, შეუმოკლებია ამ დაწესებულების შტატი თავის „ინიციატივით“, ამის შესახებ კი დაწესებულებათათვის არაფერი შეუტყობინებია, რათა ამ უკანასკნელს მიეღო ზომები მოსამსახურეების დათხოვნისათვის.

ამ ბოლო დროს მოეღო ბოლო ასეთ არევ დარევას და ყველა არსებულ საშტატო კომისიიდან დარჩა მხოლოდ ერთი, ეგრედწოდებული—ცენტრალური. ამ კომისიის მიერ მაისში ჩატარებული იყო შტატების შემოკლება თითქმის ყველა დაწესებულებებში—33—35 პროცენტით. ეს შემოკლება მოხდა მექანიკურად, გარჩევა არ იყო, თუ სად უფრო გაბერილი იყო შტატები და სად არა. ყველა დაწესებულება ერთი ზომით შეამოკლეს. ჩემი ფიქრით ასეთი მექანიკური შემოკლება შეცდომათ უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ყველა დაწესებულებების ერთ—და იგივე პროცენტებით შემოკლება დაუშვებელია.

რატომ 35 პროც., და არა 40, 50 და 60-ით? ზოგიერთი დაწესებულების შემოკლება შეიძლებოდა 35 პროცენტით, ზოგიერთის 40-ით, 50-ით, ზოგიერთის—კი 20 პროცენტით ან სულ არა. ეს ხომ დამოკიდებულია თითოეულ დაწესებულებაზე. ერთში შტატები გაბერილია, მეორეში კი იმდენია, რამდენიც საქმის აუცილებლობა მოითხოვს. არის დაწესებულება, სადაც არა თუ შტატები გაბერილი არის, არამედ არსებული შტატი არ ყოფნით, (თუმცა ასეთებს ძვირად შეხვდებით). გამოდის, რომ კარგად დაყენებული დაწესებულება სადაც თვით დაწესებულების ხელმძღვანელმა მუშაობის პროცესში შეამოკლა შტატები და დატოვა მხოლოდ მოსამსახურეთა მინიმალური რიცხვი—და ის დაწესებულება, რომელიც არა თუ არ ფიქრობდა შტატების შემოკლებაზე, არამედ ყოველდღე უმატებდა მოსამსახურეების რიცხვს, ერთ ტოფაში უნდა დაიწვან. ორივეს ერთნაირად ამოკლებენ. ამ მხრივ ცუდათ დაყენებული დაწესებულება გაცილებით უფრო უკეთეს პირობებში ვარდება, ვინაიდან მისთვის 35 პრ.-ის კი არა. 50 პრ.-ის შემოკლებაც არაფერს არ ნიშნავს. კარგად დაყენებულ დაწესებულებისათვის (სადაც არ არის გაბერილი შტატები) ასეთი შემოკლება პირდაპირ დამღუპველია.

საერთოდ ასეთ მექანიკური შემოკლება მიზანშეუწონლად უნდა ჩაითვალოს.

აი რას ამბობს შტატების შემოკლების შესახებ რუსეთის ცენტრალური საშტატო კომისიის თავმჯდომარე; გაზეთის თანამშრომელთან ბაასის დროს მან განაცხადა:

„ცენტრალურკომისიას შესაძლებლად მიაჩნია მოახდინოს ამჟამად საბჭოთა დაწესებულებების შტატების გეგმაშეწონილი შემცირება და **არა მექანიკურ** როგორც ეს ხდებოდა დღემდე. გეგმაშეწონილი შემცირების აზრი მდგომარეობს იმ მუშაობაში, რომელიც შეეხება უწყებათა სტრუქტურ შეცვლას, მათ შორის კანონმდებლობითი წესით ფუნქციების დანაწილებას, იმ თანამდებობათა კატეგორიების დაწესებას, რომლებიც შენილი უნდა იქნენ მაგარ შტატიდან.

ჩვენი ვარაუდით, უწყებათა გადასვლა ცენტრალური აპარატების სამმართველოებად, განყოფილებებად და საქმის-წარმოებად, ხოლო ადგილობრივ აპარატის მხოლოდ საქმის წარმოებად დაყოფის ერთფეროვან წესზე საშუალებას მისცემს სახელმწიფოს შეამციროს დაწესებულების შტატები 8—10 პროცენტით.

ამ ჟამად მოიპოება მთელი რიგი კომისიებისა, რომლებიც მოწყობილი არიან „შეთანხმების, მოწესრიგების, გაერთიანების“ სხვ. მიზნით.

ფუნქციების კანონმდებლობითი დანაწილება გამოიწვევს ამ კომისიების ლიკვიდაციას. საკმაოა აღინიშნოს, რომ მარტო ცენტრალურ აპარატში დახლებით 1000 თანამდებობა ხვდება კომისიებს. ამ კომისიების ლიკვიდაცია შეამცირებს შტატებს 2 პროცენტით“.

რომ ზემო-ნათქვამი შტატების შესახებ სწორ შეხედულებათ უნდა ჩაითვალოს, ამის მტკიცება აქვე შეიძლება. რა მიზანს მისდევდა საშტატო კომისია, რა დაწესებულებების შტატებს ამოკლებდა 35 პროც. ცხადია, ერთად ერთ მიზნად დასახული იყო სახელმწიფო ხარჯების შემოკლება. კომისიის ანგარიშით 35 პროცენტით შტატების შემოკლება მოგვცემს 35 პროც.-ით ხარჯების შემოკლებას. მაგრამ ეს სწორი არ არის. ნამდვილათ კი ხარჯები შემოკლდება მხოლოდ 10—15 პროცენტით. აი რატომ დაწესებულებებს შეუმოკლეს მოსამსახურეთა საერთო რიცხვი და არა თანამდებობანი. თანამდებობის შემოკლება მიანდეს თვით დაწესებულებებს. თითქმის ყველგან დაბალი თანამდებობის მოსამსახურეთა შემოკლება მოხდა ე. ი. იმათი, რომელთა ჯამაგირი 4—5 ჯერ ნაკლებია, ვიდრე მაღალ თანამდებობის მოსამსახურეების. ამ რიგად შემოკლებას ჰქონდა არა პროპორციონალური ხასიათი. რომ ეს სინამდვილეა, ამაში საშტატო კომისიას შეუძლია დარწმუნდეს, თუ-კი ის გასინჯავს დაწესებულების მიერ შემოკლებულ თანამდებობათა ნუსხას. ფინანსთა კომისარიატიც მალე დარწმუნდება, რომ დაწესებულების ხარჯები არ შემოკლებულა 35 პროცენტით.

ბოლოს უნდა ითქვას შემდეგი. აპრილში სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დანიშნული იყო საუწყებათაშორისო სრულ უფლებიანი კომისია მაზრების დაწესებულებათა დასათვალიერებლად. ამ კომისიის მოვალეობაში შედიოდა ადგილობრივ ორგანოების დეფექტების აღმოჩენა, მათ შორის ურთიერთ დამოკიდებულების საკითხების გარკვევა და სხვა. რასაკვირველია, კომისიის მუშაობამ ნაყოფი მოიტანა, მაგრამ იმედის დამყარება იმაზე, რომ ამ კომისიის დავლის შემდეგ, სამაზრო ორგანოების მუშაობა გამოსწორდება და მათ მუშაობაში დეფექტებს აღარ ექნება ადგილი—შემცდარი აზრი იქნება, ვინაიდან კომისიის მუშაობა იყო ერთდროული, მას ადგილობრივად არ შეეძლო ამოეწურა და გაეცნობოდა ყველა დეფექტებს, რომელთაც აქვთ ადგილი ჩვენი სამაზრო ორგანოების მუშაობაში. დათვალიერებაც ხდებოდა მოკლე დროის განმავლობაში, თუ არ ვცდებით, თითოეულ სამაზრო ქალაქში არა უმეტეს ორი-სამი დღისა.

ეს დრო კი ძლიერ მცირეა ამ საქმისათვის. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ასე მოკლე დროში და ერთბაშად დეფექტების გამოსწორება შეუძლებელია. ამის დასამტკიცებლად მოვიყვან შემდეგ მაგალითს. ერთს დაწესებულებაში ხშირად იკარგებოდა საქმეები, დროზე არ კეთდებოდა არაფერი და საერთოდ მუშაობა ძლიერ მოიკოჭლებდა. დანიშნული იყო შინაური კომისია, რომელმაც აღმოაჩინა ყველა ნაკლები, განსაზღვრა თითოეულ მომუშავის მოვალეობა როგორც სიტყვიერად, ისე წერილობით. მაგრამ კომისიის მუშაობა ქაღალდზე დარჩა, ქაღალდი საქმეში დაიმარხა და მუშაობა ძველებურად გრძელდებოდა. აქედან ცხადია, რომ არ კმარა მარტო დეფექტების აღმოჩენა და ჩვენება იმის, თუ როგორ უნდა გამოსწორდეს ის. საჭიროა ყოველდღიურად მის დაჟინებით გატარება.

ამრიგად აპარატის გაჯანსაღების, განმარტივების და რეორგანიზაციის საკითხი გამოიხატება მუშაობის ყოველდღიურ დეფექტების გამოსწორებაში. პასუხისმგებლობა ამისათვის კი უნდა დაედოს აპარატის ყველა ხელმძღვანელებს. ყველამ თავის დაწესებულებაში უნდა გამოასწორონ მუშაობა.

ს. გოდაბრელიძე.

კრედიტი მუშებს

ამ უკანასკნელებში ბევრი რამ დაიწერა ჩვენი რესპუბლიკების მუშათა პრესაში მუშა ნისიის გაცემის შესახებ. იმავ დროს არც ერთ დარგში არ გაკეთებულა ისე ცოტა, როგორც ამაში.

მუშათა ნისიობის საჭიროება ერთხმათ აღიარებულია როგორც პროფესიონალურ, ისე სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანიზაციების მიერ, მაგრამ დღემდის ვერ გამოინახა ისეთი ფორმა ამ ნისიობისა, რომელიც მისაღები იყოს, როგორც მუშათათვის, ისე სამეურნეო ორგანიზაციებისათვის, რომლებმაც უნდა გასცენ ნისიათ საქონელი. ამ კითხვის გადაჭრას კი დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო მუშა-მოსამსახურეთათვის, მისი დადებითად გადაჭრა დიდათ გამოაცოცხლებს და გააძლიერებს ჩვენს წარმოებას და კოოპერატიულ ვაჭრობას. იმ დროს, როცა ჩვენ მუდამ ვლაპარაკობთ წარმოების დაცემაზე და ნაწარმოების გადიდების საჭიროებაზე, ამ დროს დღევანდელ დონეზე მყოფ წარმოების ნაყოფიც არ არის გამოყენებული. ზოგერთი წარმოება განიცდის განაღდების კრიზისს, რასაც დიდი ზიანი მოაქვს მეურნეობის აღორძინებისათვის. ისეთი აუცილებელი საჭირო საგნები, როგორც არის ფართლეულობა და ტყავ-ფეხსაცმელი, არამც თუ თვეობით, წლობითაც აწყვია ტრესტების საწყობებში და ვერ გაუსაღებიათ, რაც წარმოების შეჩერებასთან ერთად იწვევს გადიდებას ისედაც უზომო დანართი ხარჯებისას. ამის უმთავრესი მიზეზი არის მუშათა კლასის მყიდველობის უნარის უქონლობა. დღევანდელი ხელფასი მუშას არ აძლევს საშუალებას ნაღდ ფულზე იყიდოს საჭირო ფართლეულობა და ფეხსაცმელი, როგორც თავისთვის, ისე ოჯახის წევრებისთვის და ერთბაშად გაიღოს საჭირო თანხა. მას მხოლოდ შეუძლია ნაწილი თავის ჯამაგირისა გადადოს თვიურათ და რამდენიმე თვეში დააგროვოს საკმარისი თანხა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს დაგროვება მოხდება დღეს არსებულ ფულის ნიშნებით, რომელიც თითქმის ყოველ დღე კარგავს თავის ფასს, და როცა სასყიდლათ მივა, აღმოჩნდება რომ შენახული ფულით ვერაფერს ვერ ყიდულობს. აქ მას იხსნის გაჭირვებისაგან ნისიათ წაღება, რომელსაც ის იხდის ყოველ თვიურათ ჯამაგირიდან გამოქვითით. ამ შემთხვევაში ვალი აღებულ ნისიაში იზრდება, მაგრამ იზრდება იმის და კვალად, როგორც ჯამაგირი.

კერძოთ ჩვენი რკინის გზელებისათვის (ამ ჟამად ჩვენ გვინდა შევჩერდეთ მხოლოთ ამ დარგის მუშა-მოსამსახურეებზე) ეს კითხვა უკვე მომწიფდა და მას ესაჭიროება დაუყოვნებლივი განხორციელება. აქ ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ის ნაკლი, რომელიც მუშათა ნისიობას ახლდა იქ, სადაც ეს იყო განხორციელებული.

მუშებს უნდა მივაწოდოთ სწორეთ ის საგნები, რომლებიც მათ უმთავრესათ ესაჭიროება ამ ჟამათ. ეს არის ფართლეულობა და ფეხსაცმელი. ამიერ-კავკას. სატრანს. მომხმარებელ საზოგადოების მიერ შემუშავებულია წესი და დებულება ასეთ ნისიობისა. ამ დებულებით ნისიით უნდა ისარგებლოს ოცი ათას მუშა მოსამსახურემ, რომლებიც ამიერ. კავკას. რკ. გზის მტკიცე შტატში შედიან. თითოეულ მუშა მოსამსახურეს უნდა

კომინტერნის მოწოდება

ყვითელი ინტერნაციონალების ჰამბურგის კონგრესის გამო

კაპიტალის შეტევა გრძელდება. ბურჟუაზია ყოველ ღონისძიებას მიმართავს ძალების შესაკრებად მუშათა კლასის წინააღმდეგ გადამჭრელი ბრძოლის საწარმოებლათ. რეფორმისტები, ბურჟუაზიის ხელის შემწყობნი, არ რჩებიან უკან; ისინიც ილტვიან გაერთიანებისაკენ; მზადდება მეორე ინტერნაციონალის ნაშთების გაერთიანება ორნახევარი ინტერნაციონალის ნაშთებთან; ბლოკი „ადლერ-ნოსკე“ მომხდარი ფაქტია. ზოგიერთებს, გაერთიანების კონგრესის მოწვევის შემდეგაც ეჭვი ეპარებათ, რომ ერთ ორგანიზაციაში შევლენ ერთის მხრით ის კაცი, რომელმაც რევოლიუციონური ნაბიჯი გადადგა გრაფ შტიურგკის მოკვლით და პროლეტარიატს რევოლიუციისაკენ მოუწოდა და მეორე მხრით ის კაცი, რომელმაც სისხლის ზღვა დააყენა, რომ შიგ ჩაეღრჩო პროლეტარიატის ყველა რევოლიუციონური გამოსვლები, თვით ვაჟბატონებს ორნახევარი ინტერნაციონალიდან აკვირვებს ეს მათთვის სასიხარულო შერიგება;—„ჩვენო,—ამბობს მათი მთავარი ორგანო ვენის „არბაიტერ ცაიტუნგ“-ი ვფიქრობდით, რომ თანამშრომლობა ზოგიერთ ამ პარტიებთან (რომლებმაც ომის დროს და მის შემდეგ სულ დაჰკარგეს თავისი სოციალისტური [illegible]) შეუძლებელი საქმე იყო. მაგრამ იმათთვის, ვინც ღრმა ანალიზს უკეთებს ფაქტებს, ჰამბურგის კონგრესი რაღაც მოულოდნელს არ წარმოადგენს. ორ ნახევარი ინტერნაციონალი მისი დამაარსებლების აზრით დროებითი თავშესაფარი იყო უპატრონოთ მოხეტიალე ცრუ-რევოლიუციონერებისათვის, ამ ინტერნაციონალის მთელი ისტორია არის რეფორმიზმისკენ წესრიგით უკან დახევის ისტორია. უფრო მეტი. ეს უკან დახევა დაიწყო ვენის ინტერნაციონალის დაარსებამდე უფრო ადრე, ომის დროს. და განა სხვანაირად შეიძლებოდა? შეუთანხმებელის შეთანხმება შეუძლებელია, ერთი და იმავ დროს ინტერნაციონალად დარჩენა და ნაციონალური პოლიტიკის წარმოება, ყოფნა პროლეტარული და ამავ დროს ბურჟუაზიული იდეოლოგიის მატარებლად, წარმოუდგენელია, ეს ნიშნავს ბრძოლის უნარის და გამბედაობის უქონლობას. რეფორმისტებთან კავშირის გაწყვეტისთანავე ვენის ინტერნაციონალის გარშემო თავმოყრილმა პარტიებმა თავისი მერყევი და უფრთული პოლიტიკით აშკარა გახადეს მეორე ინტერნაციონალში დაბრუნების სურვილი, და ეს ბუნებრივი იყო.

რა შეარყევდა მეგობრობას ე. წ. „მარქსისტულ“ ცენტრსა და მემარჯვენე ფრთას შორის? ეს იყო ოპოზიცია მუშათა არისტოკრატიასა და პროლეტარიატის დანარჩენ ნაწილს შორის. რეფორმიზმისათვის არსებობს მხოლოდ ეს არისტოკრატია; ამ არისტოკრატიის მდგომარეობის გაუმჯობესება, თუ გინდ ნაკლებად უზრუნველყოფილ ჯგუფების ხარჯზე, მისი ერთად ერთი მიზანია. მან უყოყმანოდ შესწირა მუშათა კლასის მომავალი ამ პრივილეგიური ჯგუფის დროებითი ინტერესებს. ამ პოლიტიკამ, ჯერ კიდევ ომამდი შეუქმნა ოპოზიცია რეფორმიზმს; ეს ოპოზიცია უფრო გაძლიერდა, როცა რეფორმიზმი აშკარად გადიხარა სოციალ-პატრიოტიზმის და ნაციონალიზმისაკენ, გახდა ნახევრად ბურჟუაზიული იმ დროს, როცა მუშების მდგომარეობა უფრო და უფრო უარესდებოდა; ამ ოპოზიციამ გახრწნა ძველი სოციალისტური ორგანიზაციები. მათ ჩამოშორდა არა მარტო რევოლიუციონერები, არამედ ისინიც, ვინც თავის თავს რევოლიუციონურად თვლიდა, მაგრამ ჩქარა გადაიქცა რეფორმიზმის აგენტათ რევოლიუციონერთა ბანაკში.

ეს ელემენტები, რომლებიც შეურყევლათ ილტვოდენ მეორე ინტერნაციონალში დაბრუნებისაკენ, გაერთიანდენ იმის შემდეგ, რაც 21 მუხლმა კომინტერნში შესასვლელად, სადაც მათ უნდოდათ ეშოვნათ თავშესაფარი რეფორმისტული სენის შესატანათ, გაუცრუვა მათ იმედები მათ შექმნეს ორნახევარი ინტერნაციონალი, ფორმალური გაერთიანება რეფორმისტებთა მაშინ უხერხული იყო. პროლეტარიატს ნოსკეს მიერ მიყენებულ ჭრილობებიდან ჯერ კიდევ სდიოდა სისხლი, ხალხის აღშფოთება დიდი იყო, ასე რომ რეფორმისტ მინისტრების სოციალისტობაზე და კლასობრივი ბრძოლის ლიდერობაზე ლაპარაკით ვერავის მოატყუებდენ. ორნახევარი ინტერნაციონალი მაშინ ბრძოლის გუნებაზე იყო. ბერნში წინასწარი კონფერენციის მანიფესტი (1920 წ. დეკემბ.) აცხადებდა: „მე2-ე ინტერნაციონალი რომელმაც ვერ გააერთიანა შეგნებული პროლეტარიატის ცოცხალი ძალები ისეთი ელემენტია, რომელსაც დეზორგანიზაცია შეაქვს პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაში“. მაშასადამე **საჭირო იყო „რევოლიუციონურ სოციალისტურ პარტიების ინტერნაციონალის შექმნა** მაგრამ ავტორის მანიფესტებმა რეფორმისტებთან ბრძოლის მაგიერ დაიწყეს პოლემიკა მესამე ინტერნაციონალის წინააღმდეგ. მათი პროტესტი „მოსკოველ დიქტატორების“ წინააღმდეგ თანდათანობით მკაცრი ხდებოდა იმ დროს, როცა რეფორმისტების ცოდვები მათ წრეში უფრო და უფრო მეტ პატიებას პოულობდა: არც ერთი არ არის მართალი, არც მეორე და არც მესამე ინტერნაციონალი, მაგრამ ჩვენის აზრით უფრო მართალია მეორე ინტერნაციონალი,—ასეთი იყო ორნახევარი ინტერნაციონალის ლოღიკა. ის გამომჟღავნდა მეტად სასაცილო ფორმაში ბერლინის კონფერენციის მიერ არჩეულ „ცხრათა კომისიის“ დაშლის შემდეგ. „მეორე ინტერნაციონალი დამნაშავეა იმაში, რომ მუშათა მსოფლიო კონგრესის მოწვევა არ მოხერხდა“,—განაცხადა ორნახევარმა ინტერნაციონალმა, მაგრამ ამ სიტყვებს დაუმატა:—„კომუნისტებმა ჩაშალეს ცხრათა კომისია“. ამრიგად, მესამე ინტერნაციონალის „დანაშაული“ ერთხელ კიდევ დამტკიცდა და ამიერიდან ორი და ორნახევარი ინტერნაციონალების გაერთიანებას უკვე არაფერი უშლიდა ხელს. ამრიგად მსოფლიო მუშათა კონგრესზე საკუთარი ცოდვების გამხელის საფრთხე ასე მოხერხებულათ იქნა აშორებული წმინდა ტაქტიკურ მოსაზრებით მოიცადეს კიდევ ერთი წელიწადი. და აი ახლა დადგა დრო, როცა ორნახევარი ინტერნაციონალი უბრუნდება მშობლიურ კერას და მეორე ინტერნაციონალი ზეიმით ხვდება მას ჰამბურგში. ისტორიის სცენაზე მეორდება გულის ამაჩუყებელი იგავი „უძღები შვილის“ შესახებ. მაგრამ ამ ფარსის მონაწილენი დიდად ცდებიან, როცა ფიქრობენ თითქო პროლეტარიატი დასთანხმდება ითამაშოს მსხვერპლად შესაწირავი კრავის როლი.

⁂

რას ნიშნავს ორი რეფორმისტული ინტერნაციონალის გაერთიანება? პირველ ყოვლისა ცრუ რადიკალიზმის ლიკვიდაციას. რეფორმისტები და ცენტრისტები იმით განირჩეოდენ ერთი მეორესაგან, რომ სხვა და სხვანაირი წარმოდგენა ჰქონდათ რევოლიუციონური იდეოლოგიის შესახებ. რეფორმისტებს საჭიროთ მიაჩნდათ „რევოლიუციონურ სისულელეებზე“ აშკარად ხელის აღება, იმ დროს, როცა „მარქსისტები“ ცენტრიდან, საჭიროდ თვლიდენ მუშათა კლასში შეენახათ სოციალიზმის რწმენა ისე, როგორც ურწმუნო ბურჟუაზია ცდილობს შეანარჩუნოს ხალხს ღმერთების რწმენა. მათ სურდათ, რომ მუშათა კლასს თავის წარმოდგენაში განეცადა ის კმაყოფილება, რომელსაც ცენტრისტები და საერთოდ რეფორმისტები სინამდვილეში არ აძლევდენ პროლეტარიატს. ცენტრი ასეთ პოლიტიკას აუცილებლად თვლიდა ისეთ ეპოქაში, როცა ომის მიერ გამოწვეული ეკონომიური ნგრევა რუსეთის რევოლიუციის გამარჯვება და ბოლოს კაპიტალის შეტევა მუშათა კლასს რევოლიუციონურ ბრძოლის დაწყებას უკარნახებდა. ახლა ისინი ამ საფრთხეს აცილებულათ თვლიან. ისინი ფიქრობენ, რომ კაპიტალმა საკმაო ძალა შემოიკრიბა, რომ რევოლიუციონური აჯანყება ფართე მასებს შეუძლებლათ მიაჩნიათ, ამიტომ აღარ არის საჭირო მათთვის რევოლიუციონური ფრაზეოლოგიით თვალების ახვევა. ამასთანავე არა თუ ზედმეტია, შეუძლებელიც არის.

წინააღმდეგობა რეფორმისტების მოქმედებასა და ორნახევარი ინტერნაციონალის რევოლიუციონურ ფრაზებს შორის, რეალურ სინამდვილესა და „მარქსისტულ თეორიად“ გასაღებულ ქიმერებს შორის, იმდენათ ნათელი და ყველასთვის აშკარა შეიქმნა, რომ თვით რადიკალიზმის ნიღაბი, რომელსაც უნდა დაემალა რეფორმისტული სინამდვილე, უკვე აღარ ახდენდა არავითარ ეფექტს. ნიღაბი მოიხსნეს. **კაუცკიმ** დაიწყო პირველათ მას მიყვა მარქსისტული რეფორმიზმის ცერემონიმეისტერი **ოტტო ბაუერი.** მან უკანასკნელ წუთამდი შეინარჩუნა მარქსისტული ზოზა და ყველაზე უსაძაგლეს რეფორმისტულ ნაბიჯებისათვის ახერხებდა მარქსისტული გამართლების გამონახვას. მაგრამ მასაც მობეზრდა ეს. წერილში მარქსის გარდაცვალებიდან 40 წლის თავზე, ის მხიარულად, გულწრფელად და თავისუფლად აღიარებს თავის მიდრეკილებას რეფორმიზმისაკენ. „მარქსის მეთოდი,—განაცხადა ბაუერმა,—ისე, როგორც 15 წლის წინათ განაცხადა რეფორმიზმის მამამთავარმა **ბერნშტეინმა,**—მდგომარეობს იმაში, რომ წავიდეთ მარქსის თეზისებს იქით; მარქსმა გაიმარჯვა მარქსზე“. ცრუ მარქსიზმმა თავის თავს აჯობა და აბსურდამდისაც მივიდა. ჰამბურგში ერთმანეთს შეხვდენ არა მხდალი, არამედ გულდია და ცინიკი რეფორმისტები.

როგორი იქნება ჰამბურგის ინტერნაციონალის ბედი? ერთიანი რეფორმისტული ფრონტი შეაერთებს არა მარტო ადლერს და ნოსკეს, ის ღრმად შეიჭრება ბურჟუაზიის ბანაკშიც.

ეს იქნება ერთიანი ბურჟუაზიულ-პროლეტარულ-რეფორმისტული ფრონტი. ამით ყველაფერია ნათქვამი. იმის შემდეგ, რაც მუშათა პარტიას დასაშვებათ მიაჩნია დებულება, რომ მუშები უფრო მეტად არიან დაკავშირებული თავისი ქვეყნის ბურჟუაზიასთან, ვიდრე სხვა ქვეყნის მუშათა კლასთან (რეფორმიზმის მთავარი იდეა), ის ართმევს პროლეტარიატს, რომელიც მას მიჰყვება, ყოველგვარი დამოუკიდებელი მოქმედების, ყოველგვარი ისტორიული ინიციატივის შესაძლებლობას. მუშები პოლიტიკურად ბურჟუაზიისაგან დამოკიდებული ხდებიან, ისინი ებრძვიან მას, მაგრამ მაინც მასზე არიან დამოკიდებული. ყოველგვარი ერთიანი ფრონტი პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის ნაციონალური და ნაციონალისტურია. აქედან გამომდინარეობს ის, რომ სხვა და სხვა ქვეყნის რეფორმისტები ვერ შექმნიან პროლეტარულ ინტერნაციონალს, აგრეთვე ისიც, რომ სხვა და სხვა ქვეყნის ბურჟუაზია ადვილათ შეუთანხმდება ერთმანეთს. მეორე ინტერნაციონალმა ეს თავის თავზე განიცადა ჯერ კიდევ მშვიდობიანობის დროს. მეორე ინტერნაციონალი არასოდეს არ ყოფილა ისეთ ორგანოთ, რომელსაც ბრძოლა შეეძლია. ის ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ სადისკუსიო კლუბი იყო. ომის ქარიშხალის პირველივე შემოქროლა მისთვის საბედისწერო შეიქმნა. როგორ იქნებოდა შესაძლებელი რეფორმისტული ინტერნაციონალის შექმნა ახლა, როცა ომი მუდმივ მოვლენათ გადაიქცა და როცა მთელი ქვეყნის ბურჟუაზია შეუწყვეტლად განაგრძობს მზადებას ახალი ომისათვის? განა რურის ოკუპაცია ნათელ წარმოდგენას არ გვაძლევს იმის შესახებ თუ რისი გაკეთება შეუძლია რეფორმისტულ ინტერნაციონალს? რურის საკითხმა გამოიწვია გერმანელ და ფრანგ სოციალისტების თათბირი. ამ თათბირზე ფრანგი სოციალისტები უმტკიცებდენ გერმანელებს საფრანგეთის ძლევა-მოსილი იმპერიალიზმის მოთხოვნილებების საფუძვლიანობას, გერმანელი სოციალისტები კი—ფრანგებს, გერმანელ კაპიტალისტების გადახდის უნარიანობის სისუსტეს. ასეთი ელემენტებისაგან შემდგარი ინტერნაციონალი უკვე წინდაწინვე სასიკვდილოთ განწირული. ჩვენ, კომუნისტებმა, განხეთქილება შევიტანეთ სოციალ დემოკრატიულ პარტიაში, რომელსაც მოღალატეები ხელმძღვანელობდენ იმისათვის, რომ გაგვეერთიანებია პროლეტარიატი, რეფორმისტები კი იკრიბებიან ჰაგაში იმიტომ, რომ დაშალონ მუშათა რიგები.

მიუხედავათ ამისა, ჰამბურგის კონგრესი მაინც პროგრესიული მოვლენაა. მას ერთგვარი ნათელი შემოაქვს. ცენტრი ქრება ჩვენ ვთავისუფლდებით ცრუ-რადიკალიზმისაგან, უფსკრული რევოლიუციასა და რეფორმიზმს შორის, რომელიც გუშინ დაფარული იყო, დღეს ყველასათვის აშკარა ხდება. ეს საერთო პირობები მეტად ხელსაყრელი არიან ჩვენთვის ერთიანი ფრონტის ტაქტიკის კამპანიის დროს. მშრომელი მასები დაინახავენ, რომ ცენტრისტები, რომლებიც დიდხანს იმალებოდენ რევოლიუციონერების ნიღაბ ქვეშ, იგივე რეფორმისტები არიან. მუშათა კლასი მიხვდება, რომ რეფორმისტები გადაიქცენ კაპიტალის ლაქიათ, რომელიც იკვებება მქონებელთა კლასების ნასუფრალით, რომელიც ცდილობს, რაც შეიძლება მეტი მიიღოს მცირერიცხოვან მუშათა არისტოკრატიისათვის იმ დროს, როცა სოციალურმა ევოლიუციამ ამ არისტოკრატიას გამოაცალა ყოველგვარი ეკონომიური ბაზა. ცრუ-რადიკალიზმს ერთად ერთი მიზანი ქონდა: დაეფარა მუშებისაგან კაპიტალიზმის ნამდვილი სახე. ახლა ამ სახეს აღარ ესაჭიროება დამალვა. ისინი, რომლებსაც დიდხანს სჯეროდათ კლასთა თანამშრომლობა, საშინელ სირცხვილს და აღშფოთებას განიცდიან. ფარულ თუ რევოლიუციონური ფრაზეოლოგიით შეთითხნილი რეფორმიზმის სიძულვილმა აიძულა ბევრი მუშა დატოვებია სოციალ-დემოკრატიის რიგები; ბევრმა მათგანმა ვერ ნახა გზა რევოლიუციონურ პარტიებისაკენ. ბევრ მათგანს კომუნიზმი უფრო მეტად მოხერხებული ცენტრიზმი ეგონა. ამიერიდან ასეთი შეცდომები შეუძლებელი ხდება. ამიერიდან უფრო ადვილი ხდება სოციალ-დემოკრატების პოლიტიკით მოტყუებულ მუშების რევოლიუციონურ გზაზე დაბრუნება. როცა სოციალ-დემოკრატებს სურდათ რომელიმე გაფიცვის ჩაქრობა, ისინი შეტევაზე გადადიოდენ და იწყებდენ კამპანიას საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. საბჭოთა რუსეთი იყო ის საფრთხობელა, რომლითაც ისინი რევოლიუციის შიშს აძლიერებდენ მუშათა მასებში, მაგრამ ამ ოინბაზობასაც ელება ბოლო. სიმართლე საბჭოთა რუსეთის შესახებ ყველასათვის აშკარა ხდება, უკვე ყველამ იცის, რომ ბოლშევიზმი დაამარცხა ყველა გარეშე მტრები და ახლა ხელი მოკიდა შინაურ აღმშენებლობას და ამ გზაზე მან სერიოზულ წარმატებას მიაღწია.

ამ რიგად სოციალ-დემოკრატებმა დაჰკარგეს თავისი უკანასკნელი არგუმენტი რევოლიუციის წინააღმდეგ: პროლეტარიატი ამსხვრევს თავისი ბორკილების უკანასკნელ რგოლებს, რომ გაიკაფოს გზა თავისუფალი მოქმედებისაკენ. და მუშათა კლასის ერთიანი ფრონტი განხორციელების გზაზეა დამდგარი.

შეგნებულო მშრომელნო! იფიქრეთ თქვენი რუსი ძმების დახმარების შესახებ, რომლებმაც გაიღეს მრავალი მსხვერპლი და მზად არიან კიდევ ბევრი გაიღონ!

გააძლიერეთ თქვენი აქტივობა რეფორმისტების და ბურჟუაზიის ერთიანი ფრონტის წინააღმდეგ!

გაუმარჯოს პროლეტარიატის ერთიან ფრონტს!

ძირს მეორე ინტერნაციონალის აღდგენის უმიზნო ცდები!

გაუმარჯოს კომუნისტურ რევოლიუციონურ ინტერნაციონალს.

კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტი.

---

*) იხ. „კომუნისტი“ № 120, 121.

შეეცეს ნისია ორი თვის ჯამაგირის რაოდენობით, მარა არა უმეტეს ორი საქონლის მანეთის ღირებულებისა. ნისიის გაქვითება ხდება ყოველ თვიურად ოთხი თვის განმავლობაში, ჯამაგირიდან ერთი მეოთხედი ვალის დაკავებით. საჭირო თანხის რაოდენობა უდრის ოთხასი ათას საქონლის მანეთს, რომლიდანაც ასი ათასი მანეთი უნდა გაიღოს ამიერ-კავკასიის სატრანსპ. მომხმარ. საზოგადოებამ და სამასი ათასი მანეთი რკინის გზის სამმართველომ. თავდაპირველათ ამ უკანასკნელს ესაჭიროება მხოლოდ ორმოცდა ათი ათასი მანეთის გაღება. დანარჩენი კი ორას ორმოცდა ათი ათასი მანეთი ვალდებულების სახით უნდა გაიღოს მან ხუთი თვის განმავლობაში. ამნაირათ რკინის გზის სამმართველომ ის რაოდენობა თანხისა, რომელიც უნდა დაარიგოს თვის ბოლოს ჯამაგირებში, მან უნდა გადაიხადოს თავისი ვადიან ვალდებულებაში. ასე რომ მას არავითარი ზედმეტი თანხის ძებნა არ ესაჭიროება. საჭირო ფართლეულობა და ფეხსაცმელი ამ. კავკ: სატრ. მომხ. საზოგადოებამ უნდა შეიძინოს **პირდაპირ მწარმოებელთაგან და პირველ ხელიდან უშუამავლოთ და ინსტანციებში გაუტარებლათ, რომ ამით შემცირდეს დანართი ხარჯები.**

ეს დებულება წარდგენილია ამიერ-კავკ რკ. გზის პროფეს. კავშირში, რომელმაც თვის დასტურის შემდეგ უნდა წარუდგინოს მისაღებათ რკინის გზის სამმართველოს.

რკინის გზელთა ნისიობას აქვს დამკვრელი ხასიათი, და საჭიროა რაც შეიძლება მალე გატარდეს ის ცხოვრებაში, ვინაიდან ამ პირველი ნისიობის ვადის გასვლის შემდეგ დადგება ზამთარი და საჭირო იქნება ახალი ნისიობის გატარება სხვა საჭირო საგნებზე.

კ. ჩხენკელი.

ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე

უძველეს დროიდან საქართველო მიჩნეულია საარაკოდ მდიდარ ქვეყანად და მართლაც: შემკული ბუნება, რბილი ჰავა, მრავალფეროვან ნაყოფის მომცემი ნიადაგი, უხვად მორწყული მოავალი მდინარეებით, რომელნიც მომავალში მოგვცემს აუარებელ ელექტრონის ძალას, ყველა ეს, რასაც ჩვენის თვალით ვხედავთ.

მაგრამ არა ნაკლებ სიმდიდრეს წარმოადგენს ის, რაც მიწის სიღრმეში არის დამარხული, როგორც არქეოლოგიური ნაშთები, აგრეთვე ბუნებრივი სიმდიდრე—მადნები.

ჩვენ დღეს გვსურს გავაცნოთ მკითხველთა ფართო მასას, თუ რა მდგომარეობაშია ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი, ჭიათურის მარგანეცის (შავი ქვის) საქმე, რისათვისაც ვსარგებლობთ ა. სვენტიცკის წერილით, რომელიც მოთავსებულია რუსეთის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ყოველ-კვირეულ გაზეთში „Внешняя торговля“ № 14, 16 1923 წ.

დიდი ომის დაწყებამდე მთელ ქვეყანაზე 1909-1913 წ. წ. საშუალოდ ერთ წელში მაღაროებიდან ამოღებული იყო 122 მილიონი ფუთი მარგანეცი. შემდეგ წლებში ეს ციფრი თანდათან ეცემა და 1919 წელს უდრის მხოლოდ 68 მილიონ ფუთს.

რუსეთის ყოფილ იმპერიას ომის დაწყებამდე შავი ქვის მოპოვებაში უჭირავს პირველი ადგილი. ამოღებულია რუსეთის მაღაროებიდან იმავე 1909—13 წლებში საშუალოთ 49 მილიონი ფუთი მარგანეცი, რაც შეადგენს მსოფლიო წარმოების 36 პროც., ინდოეთი შეადგენს 30 პროც., ბრაზილია—12 პროც.

მთელ რუსეთის ფარგლებში მარგანეცი იპოვებოდა სამ ადგილას: ჭიათურაში, ნიკოპოლში და ურალზე.

როგორც აქვე დავინახავთ. ჭიათურას უჭირავს პირველი ადგილი.

მოპოებულია 1909—1913 წლებში ჭიათურაში 38,880,000 ფუთი 76,1 პროც.. ნიკოპოლში 12,135,000 ფუთი 23,7 პროც., ურალზე 192,000 ფუთი 0,2 პროც. სულ რუსეთში 51,057,000 ფუთი 100 პროც.

შემდეგ წლებში მოპოებულია

ჭიათურაში:

1914 წ. 40,446,000 ფუთი; 1915 წ. 15,737,000 ფუთი; 1916 წელს 14,677,000 ფუთი; 1917 წ. 12,788,000 ფუთი; 1918 წ. 1,583,000 ფუთი; 1919 წ. 3,345,000 ფუთი; 1920 თითქმის არაფერი; 1921 წ. 290,000.

ნიკოპოლში:

1914 წ. 14,637,000 ფუთი; 1915 წ. 13,995,000 ფუთი; 1916 წელს 13,881,000 ფუთი; 1917 წ. 10,756,000 ფუთი; 1918 წ. 2,263,000 ფუთი; 1921 წ. 85,000 ფუთი.

ურალზე:

1914 წ. 150,000 ფუთი; 1920 წ. 396,000 ფუთი; 1921 წ. 175,000 ფ

როგორც ვხედავთ ომის დაწყების შემდეგ მაღაროების დამუშავება მცირდება, და თუ 1913 წელს უდრის 65,500,000 მილიონ ფუთს, 1916 წ. უდრის მხოლოდ 29,707 მილიონს და მის შემდეგ თითქმის ისპობა.

ამავე წლებში მსოფლიო ბაზარზე აღმოჩნდენ მარგანეცის ახალი მწარმოებელი ქვეყნები, რომელთაც ამ გვარად განავითარეს თავიანთი საქმე: კუნძულ კუბაზე: 1914 წელს მოპოებული იყო 152.000 ფუთი მარგანეცი 1916 წელს 2 მილიონი ფუთი იტალიაში: 1913 წ. 125,000 ფუთი: 1919 წ. 1.800 000 ფუთი. ბოსნიაში: 1913 წ. 244,000; 1919 წ. 1,342,000 ფ. შეერთებულ შტატებში: 1913 წ.—244,000 ფ., 1919 წ.—3 850 000 ფ. იაპონიაში: 1913 წ. 1,137,000 ფ, 1919 წ.—2,928,000 ფ

ამ გვარად მსოფლიო ბაზარზე ჩნდებიან მძლავრი კონკურენტები, რომელნიც ჩვენ მარგანეცს მეტოქეობას უწევენ.

რომ სრული წარმოდგენა ვიქონიოთ ჩვენი მრეწველობის ამ დიდ დარგზე, საჭიროა წარმოვიდგინოთ როგორ ხდებოდა მარგანეცის ექსპორტი ანუ რამდენი მარგანეცი გაჰქონდათ რუსეთიდან სხვა სახელმწიფოებში.

მარგანეცის გაზიდვა ომის წინა წლებში თან და თან იზრდებოდა:

1909 წელს გატანილია 37,800,000 ფუთი, 1910 წელს 41,700,000 ფუთი, 1911 წ.—38 700,000; 1912—წ. 61,500,000; 1913 წ.—82,800,000; 1909—1913 წლებში შეტანილია საშუალოდ ერთ წელში გერმანიაში—21,600,000 ფ. დიდ ბრიტანიაში 12,500,000 ფ. ბელგიაში—7,400,000 ფ. ავსტრო-უნგრეთში 3,400,000 ფ. შეერ. შტატებში—2,600,000 ფ. საფრანგეთში—2,200,000 ფ. სხვა ქვეყნებში—400,000 ფ.

სულ გატანილია—50,500,000 ფ. მოპოებულია—51,000,000 ფ. ესე იგი გატანილია მოპოებულის 98 პროც.

ამ ცხრილიდან ცხადათ სჩანს თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენ შავ ქვას უდიდეს კაპიტალისტურ სახელმწიფოებისათვის.

ჩვენ უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, თუ რამდენათ დაეცა მარგანეცის მაღაროების დამუშავება ომის დაწყების შემდეგ. ახლა ვნახოთ თუ როგორ ეცემა ექსპორტი ამავე წლებში.

ჭიათურიდან გატანილია: 1914 წ.—43,600,000 ფ; 1915 წ.—540.000 ფ.; 1916 წ.—1 160,000 ფ.; 1917 წ. 360,000 ფ; 1918 წ.—2,000,000 ფ; 1919 წ.—330,000 ფ; 1920 წ—10,700 000 ფ; 1921 წ.—1,540 000 ფ. რუსეთის სხვა რაიონებიდან 1914 წლის შემდეგ მარგანეცის ექსპორტი თითქმის სრულიად მოისპო.

1920 წელს ჭიათურაში დაარსდა ახალი საზოგადოება „ჩემო“ (Чиатур. эксп. Марг О-ва), რომელსაც საქ. მაშინდელმა მთავრობამ მიანიჭა მარგანეცის ექსპორტის მონოპოლია 20 წლის ვადით, იმ პირობით, რომ წმინდა მოგების 35 პროც. მიეცა და მადნის რამოდენიმე ნაწილი.

„ჩემო“-მ 1920 წ. გაგზავნა: ინგლისში 5,847,000 ფ; ჰოლანდიაში 1,682,000 ფ; იტალიაში 1,628 000 ფ; ამერიკაში 709,000 ფ; ბელგიაში 626,000 ფ; საფრანგეთში 206,000 ფ; პოლონეთში 36,000 ფ; სულ—10,734 000 ფუთი.

რადგანაც უკანასკნელ ცხრა წლის განმავლობაში მარგანეცის ექსპორტი ძლიერ დაეცა, წარმოება კი არსებობდა, ამიტომ მაღაროებთან დაგროვდა დიდ-ძალი ამოღებული მადანი.

რუსეთის საჭიროებას უახლოეს სამ წელში აკმაყოფილებს ურალში და ნიკოპოლში დაგროვილი მარგანეცი და კიდეც დარჩება 4 მილიონ ფუთამდე საზღვარ გარეთ გასატანათ. რაც შეეხება ჭიათურას—იქ დაგროვებულია 50 მილიონ ფუთზე მეტი შავი ქვა, რომლის გატანა შეიძლება საზღვარ გარეთ.

ოქროს ფულზე ფრახტის გამოკლებით ეს წარმოადგენს 15 მილ. მანეთის ღირებულებას.

საერთოთ რუსეთისათვის გამომუშავებულ გეგმით უახლოეს წელს შეიძლება 3 მილ. ფუთი მადნის გატანა.

ამავე დროს ე. ი. ომის შემდეგ მსოფლიო ბაზარზე მარგანეცის მოთხოვნილება შემცირდა. ომამდის იყო 128 მილიონი ფუთი, უახლოეს წელში კი დაეცა 87 მილიონ ფუთამდე.

ინდოეთი აგზავნის მსოფლიო ბაზარზე 1911—1913 წლებში საშუალოთ წელში 40 მილ ფუთს.

1914 წელს 33 მილ. ფ; 1915 წ. 26 მილ. ფ.; 1916 წ. 36 მილ. ფ.; 1917 წ. 32 მილ ფ.; 1918 წ. 22 მილ. ფ.; 1919 წ. 28 მილ. ფ.; 1920 წელს 44 მილ. ფუთი.

ბრაზილია აგზავნის 1911—1913 წლებში საშუალოთ წელში 9 მილ. ფუთს.

1914 წელს 11 მილ. ფ; 1915 წ. 18 მილ. ფ; 1916 წ. 31 მილ. ფ; 1917 წ. 32 მილ. ფ.; 1918 წ. 24 მილ. ფ; 1919 წ. 13 მილ. ფ; 1920 წ. 26 მილ. ფ.

1912 წელს ერთი ფუთი გემზე დატვირთული მარგანეცი ჯდებოდა:

ჭიათურაში მაღაროდან ამოღება 4,50 კ., რკინის გზამდე მიტანა 3 კ., ჭიათურიდან შორაპნამდის 5,50 კ., გადატვირთვა 1,29 კ., შორაპნიდან ფოთამდის 1,63 კ., ნავთსადგურის ხარჯები 1,46 კ., სხვადასხვა გადასახადი 0,75 კ. სულ 18,18 კაპეიკი.

ინდოეთში ჯდებოდა მაღაროდან ამოღება 1,09 კაპ., რკინის გზამდინ მიტანა 3,09 კაპ., რკინის გზით გადატანა 7,35 კაპ., ნავთსადგურის ხარჯები 1,61 კაპ. სულ 13,14 კაპ., ბრაზილიაში ჯდებოდა მაღაროდან ამოღება 6,16 კაპ., რკინის გზამდინ მიტანა 0,86 კაპ., რკინის გზით გადატანა 4,79 კაპ., ნავთსადგურის ხარჯები 2 95 კაპ., სხვა და სხვა გადასახადი 1,34 კაპ. სულ 16,10 კაპ. ამგვარათ ჭიათურის მარგანეცს აძვირებს მადანის ამოღების საშვალებები, რომელიც შედარებით პრიმიტიულია და ჭიათურის რკინის გზის ვიწრო ლიანდაგი.

ზემო მოყვანილ ციფრებიდან ჩვენ ვხედავთ: პირველი, რომ მსოფლიო ბაზარზე უმთავრესი კონკურენტები ისევ ინდოეთი და ბრაზილიაა; მეორე—რომ უმთავრესი მყიდველები რჩებიან გერმანია, დიდი-ბრიტანია და ბელგია; მესამე,—რომ ჭიათურაში დაგროვებულია დიდ ძალი მადანი.

1920 წლის მაგალითიდან სჩანს, რომ რკინის გზით შეიძლება გადატანა 15 მილ. ფუთამდი. საზღვარ-გარეთ ბაზარზე მარგანეცი დღეს ფასობს 43 კაპ. ფუთი. ზღვის ფრახტი უდრის 13 კაპ. ფ. ამ გვარათ ეს 13 კაპ. რომ გამოვაკლოთ ფოთში გემზე ჩატვირთვით მარგანეცის ღირებულება უდრის 30 კაპ. ფუთი. 50 მილ. ფუთი, რომელიც ჭიათურაშია, ფოთში ეღირება 15 მილიონი მანათი ოქროზე.

მარგანეცის საზღვარ-გარეთ გატანის საკითხს შეიძლება მიუდგეთ ოთხ სხვა და სხვანაირ თვალსაზრისით: პირველი, შეიძლება დაკმაყოფილება იმ ნორმით, რომელიც დღეს მიღებულია ე. ი. 3 მილიონი ფუთი წელში. მაგრამ ეს ძლიერ ცოტა იქნება და მოიტანს 900,000 მან. ოქროთი. მეორე, შეიძლება დღევანდელი ტრანსპორტის საშვალებებით ეს ციფრი აიწიოს 15 მილიონ ფუთამდინ, რაც ეღირება ფოთში გემზე დატვირთვით 4,500,000 მან. მესამე, შეიძლება მთელი 50 მილ. ფუთის გატანა, რისათვის საჭირო იქნება ჭიათურის რკინის გზის ლიანდაგის გაფართოება. მაგრამ ეს შესაძლებლობა პრობლემატიურია, რადგანაც ამდენი მადნის მოთხოვნილება არ ქნება მსოფლიო ბაზარზე. მეოთხე შესაძლებლობა არის,—არა თუ ამოღებული მადნის გატანა, არამედ თვით მაღაროების ამუშავება, ჭიათურის რაიონში მარგანეცის მადნების ძალა უდრის 15 მილიარდ ფუთს. წელიწადში, რომ 50 მილ. ფუთი ამოღებული იყოს, მარგანეცი არ გამოილევა 300 წელს. ეს საკითხი დიდ ყურადღებას მოითხოვს, მთელი სამრეწველო რაიონის აყვავებას დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენ ცხოვრებაში. მაგრამ აქ საჭიროა ბევრი ძველი მეთოდები დატოვებული იყოს და ახალ გეგმით დაიწყოს მუშაობა და იგზავნებოდეს საზღვარ-გარეთ დაწმენდილი მადანი, რომლის ღირებულება 4 ჯერ აღემატება შავი ქვის ფასებს.

ზონელი.

პრესა

მენშევიზმის კრიზისი.

თანამედროვე ცხოვრების გულწრფელი მეთვალყურისთვის და მით უმეტეს არც ერთი რევოლიუციონერისთვის საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მენშევიზმი მოქცეულია დღეს პროლეტარიატისა და მისი რევოლიუციის მტერთა ბანაკში. კონტრ-რევოლიუციონურია მისი როლი როგორც საერთაშორისო მასშტაბში, ისე კერძოთ ჩვენში.

გაზ. „ტრიბუნა“ (№ 482) ეხება „მენშევიზმის კრიზისი“-ს საკითხს. ის სწერს:

„მუშათა მოძრაობაში მენშევიკურ მიმდინარეობას საპატიო ადგილი ეკავა. პროლეტარული მასსა ნდობისა და სასოების თვალით უყურებდა „მუშათა პარტიას“. მაგრამ საერთაშორისო ომმა და თანამედროვე მოვლენებმა ფარდა ახადა მენშევიზმს. ჩვენ ვხედავთ, რომ მენშევიკური მიმართულების იდეოლოგები კაპიტალიზმის დამცველის როლში არიან გამოსული. მართალია, ოთხი წლის წინეთ ისინი მუშათა კლასს ჩასჩიჩინებდნენ: არც მარცხნით, არც მარჯვნით-ო. მაგრამ მენშევიზმმაც თავი ამოყო ბურჟუაზიის ბანაკში. თავიანთი მოღვაწეობით საერთაშორისო მენშევიზმი არსებითად ხელს უწყობს მომაკვდავ კაპიტალისტურ სამყაროს გამტკიცებასა და განანგრძლივებას. ევროპის სოც.-დემოკრატები ანტანტის კაპიტალის იანიჩარობის მოვალეობას ასრულებენ. საერთაშორისო კაპიტალის მაგნატებმა მოკავშირე და მეგობარი ჰპოვეს სწორედ იმ ხალხში, რომელიც ოდესღაც პატრონობას და ერთგულებას ეფიცებოდა მუშათა კლასის ფართო წრეებს.

საერთაშორისო რევოლიუციონური მოძრაობის მთავარი ხელმძღვანელი კომუნისტური ინტერნაციონალი... ევროპის ბურჟუაზია კომინტერნში ხედავს რეალურ ძალას, რომლის მოსპობა-განადგურებას მოითხოვს კაპიტალის საარსებო ინტერესები. ბურჟუაზია ებრძვის რევოლიუციის შტაბს თავისივე შტაბის დაპირისპირებით“.

როგორი იყო მენშევიზმის მუშაობა საქართველოში და რა მდგომარეობაშია ის დღეს—ამის შესახებ გაზეთი ამბობს:

„ისტორიამ მენშევიკებს მეტად დიდი ბედი არგუნა: ისინი საქართველოს ბატონპატრონად მოგვევლინა. მენშევიკური დიქტატურა სამ წელს გაგრძელდა. რა გააკეთეს მენშევიკებმა ამ ხნის განმავლობაში?—არც იმის მინიმუმი, რის გაკეთებაც შეიძლებოდა. მუშათა საკითხი საკითხად დარჩა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან დემოკრატიული საქართველოს შენობა ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ საფუძვლებზე შენდებოდა. მენშევიკები [illegible] ბურჟუაზიას, პირიქით უფრო გააძლიერეს მისი შემდეგი განვითარების აუცილებელი პირობები. სოც.-დემ. იმედი გაუქარწყლეს ქალაქის და სოფლის მუშებს, ხოლო სრული ნდობა დაიმსახურეს სპეკულიანტურ „ახალგაზრდა ბურჟუაზიის,“ გლეხმა ვერ მიიღო მიწა, ქარხნის მუშამ წარმოებაზე კონტროლი, გაუმჯობესებული მდგომარეობა. რა თქმა უნდა, ეს გარემოება ქმნიდა საქ. მშრომელ ხალხში ანტიმენშევიკურ მიდრეკილებას....

მაშასადამე საერთაშორისო კაპიტალსა და შრომას შუა გაჩაღებულ ბრძოლაში ბურჟუაზიის ბანაკში მოკალათებამ, რევოლიუციონურ სულისკვეთების შენელებამ, თვით საქართველოში მუშათა კლასის მოტყუილებამ როგორც ეროვნულ, ისე სოციალურ კითხვებში, მენშევიკური პარტია სრული დეგენერაციის, დაშლის და გახრწნის გზაზე დააყენა. ამიტომ ბუნებრივია მუშების მასიური გამოსვლა მენშევიკურ პარტიის რიგებიდან. ამ პროცესს ვერ შეანელებს ვერც ჟორდანია-ჩხეიძის მუდარა, ვერც საქ. სოც.-დემ. პარტიის ცეკას შავი განაჩენი პარტიულ „დეზერტირებზე“.

დიახ, მენშევიკური პარტია საბედისწერო დილემის წინაშეა წამდგარი. იგი ან უნდა თანამედროვე რევოლიუციის იდეალებს ეზიაროს, ან ფაქტიურად, ოფიციალურად ფაშიზმს შეუერთდეს. ორივე შემთხვევაში ხელში შერჩება ერთი და იგივე შედეგი: მენშევიზმის მოსპობის ფაქტი“

რადიო-დეპეშები

რურის ამბები

გაფიცვები იზრდება.

ბერლინი. 26 მაისი. გაფიცვები რურში იზრდება და ოლქის დასავლეთ ნაწილსაც მოედვა. გაფიცულია ორ მილიონამდე მაღაროს მუშა, ათეული ათასი ლითონზე მომუშავე და ხე ტყის წარმოების მუშები.

ბოხუმში მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკებები, რადგან ცეცხლის მსროლელმა რაზმმა უარი უთხრა მუშებს განიარაღებაზე. შეტაკების დროს მოკლეს ორი კაცი, დაიჭრა 30.

შეტაკებები პოლიციასთან მოხდა აგრეთვე დორტმუნდში და კასტროპში.

დიუსელდორფის ადმინისტრაციამ სთხოვა გენერალ დეგუტს ნება დართოს სამრეწველო რაიონებში პოლიციის გაგზავნაზე. თხოვნაში ნათქვამია, რომ გერმანიის ჯარის სარდლობა 1871 წელს სიამოვნებით დაეხმარა საფრანგეთის ხელისუფლებას პარიზის კომუნის წინააღმდეგ.

„როტე ფანე“ ეხება რა აჯანყებულ რაიონებში შეიარაღებულ რაზმების გაგზავნას, ხედავს ამაში რურის მუშების სისხლში ჩაღრჩობის დასაწყისს.

გერმანიის კომპარტია ემუქრება მთავრობას.

ბერლინი. 26 მაისი. მთავრობის მუქარაზე, რომ მიიღებს მკაცრ ზომებს კომპარტიის წინააღმდეგ და სისხლის აბანოს მოუწყობს რურის მუშებს, კომპარტიამ უპასუხა კონტრ-მუქარით. კომუნისტური პარტია დაემუქრა მთავრობას, რომ გამოააშკარავებს მთავრობის მიერ აჯანყების პროვოკატორულად მომზადებას. კომპარტია მოუწოდებს არ გასცილდნენ მშვიდობიანი გაფიცვის ფარგლებს.

ახალი შეტაკებები.

ბერლინი. 28 მაისი. რურში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. გაფიცვები გრძელდება. ბევრ ადგილებში მუშათა რაზმებს შეტაკება მოუხდა პოლიციასთან და ბურჟუაზიის თავდაცვის რაზმებთან. ბოხუმში შეტაკების დროს მოკლეს 18 კაცი. დაიჭრა—80. ბევრ რაიონებში საფრანგეთის ოფიცრები ეხმარებიან გერმანიის პოლიციას კომუნისტებთან ბრძოლის დროს.

ვანნში საოკუპაციო მთავრობამ დაშალა მუშების დემონსტრაცია. დორტმუნდში და ზილზენკირხენში დაატუსაღეს ფრანგი ჯარისკაცები, რომლებიც მუშებს ეხმარებოდნენ.

კომპარტიის ცენტრალურ ბიუროს მოწოდება.

ბერლინი. 28 მაისი. გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა ბიურომ მოწოდებით მიმართა რურის მუშებს. მოწოდებაში ნათქვამია, რომ ძარცვა-გლეჯა ესენში და გელზენკირხენში ფაშისტ პროვოკატორების საქმეა. „რურის მუშები იბრძვიან მხოლოდ თავისი არსებობისათვის, მათ კარგათ ესმით, რომ ბრძოლა პოლიტიკური ხელისუფლების მოსაპოებლათ მათ მარტო არ შეუძლიათ“.—ასე თავდება მოწოდება.

რუსეთი და ინგლისი

მუშათა მოქმედების საბჭოები.

ლონდონი 28 მაისი. ლივერპულში, ნიუკასტლეში და სხვა ადგილებში მოეწყო მუშათა „მოქმედების საბჭოები“.

კრასინის საუბარი კერზონთან.

ლონდონი. 29 მაისი. დღეს კრასინი თითქმის 2 საათის განმავლობაში არჩევდა კერზონთან ერთად ინგლის-რუსეთის კონფლიქტს. თუმცა-ღა ბრიტანეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს არ გამოუქვეყნებია არავითარი განცხადება, მაგრამ ფიქრობენ, რომ კრასინს ეცნობება პასუხი რუსეთის ნოტაზე, ალბად, ხვალ ან ზეგ.

ინგლისის მუშები ერთხმად გამოსთქვამენ პროტესტს რუსეთის განხეთქილების წინააღმდეგ.

ლონდონი. 28 მაისი. „დეილი ტელეგრაფი“ იტყობინება, რომ გაზეთის მიერ სხვა და სხვა მუშათა ორგანიზაციებიდან მიღებულ რეზოლიუციების რაოდენობა, რომლებშიაც პროტესტს აცხადებენ რუსეთისადმი დამუქრების წინააღმდეგ და მოითხოვენ მის ცნობას, ის განუსაზღვრელია, რომ თვით დასახელებულ ორგანიზაციების რახაც ვერ დაიტევდა გაზეთი.

რურის ოლქის ოკუპაცია

უფულობა.

ბერლინი. 29 მაისი. ფრანგების მიერ ესსენში რეიხსბანკების ფონდების ხელში ჩაგდების გამო, ესსენში დაიკეტა ყველა ბანკები. უფულობის გამო მუშებისათვის შრომის ხელფასის მიცემა შეუძლებელია.

97 მილიარდის ხელში ჩაგდება

ბერლინი. 29 მაისი. დღევანდელი ცნობები გადმოგვცემენ, რომ ფრანგების მიერ ესსენში ხელში ჩაგდებული რეიხსბანკის თანხა 97 მილიარდ მარკას აღემატება.

რკინის გზელების გადასახლება.

ბერლინი. 29 მაისი. საფრანგეთის ხელისუფლებამ გამოაქვეყნა ბრძანება, რომლის მიხედვით იმ რკინისგზელებმა, რომელნიც უარს იტყვიან საფრანგეთის ხელისუფლებების ხელმძღვანელობის ქვეშ მუშაობაზე, უნდა დასტოვონ რურის ოლქი 48 საათის განმავლობაში.

შლაგეტერის სიკვდილით დასჯა.

ბერლინი. 29 მაისი. მუშა შლაგეტერის სიკვდილით დასჯამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გერმანიაში, გერმანიის მთავრობამ ამის გამო პროტესტით მიმართა მოკავშირეებს.

უარს ამბობენ შტრეიკბრეხერობაზე.

ბერლინი. 29 მაისი. გაზ. „ტრიბუნა“ იტყობინება, რომ საფრანგეთის მთავრობის მიმართვა საფრანგეთის რკინისგზელებისადმი რურის ოლქში სამსახურში შესვლის შესახებ, სრულებით უშედეგოთ დარჩა. საფრანგეთის რკინისგზელებს ნებაყოფლობით არ სურთ რურში წასვლა და რკინის გზის სამმართველოს იძულებითი ზომების მიღება უხდება მათი რურში გასაგზავნად.

მუშები მოითხოვენ რუსეთის სრულ ცნობას

„კერზონის ნოტის პირველი შედეგი“.

ლონდონი. 27 მაისი- „დეილი ტელეგრაფ“-ის აზრით, ლონდონიდან საბჭოთა დელეგაციის მდივნის კლიშკოს გამგზავრება არის „კერზონის ნოტის პირველი შედეგი“.

ლონდონი. 27 მაისი. რეზოლიუცია, რომელიც მიღებულია ერთხმად ლონდონის საამშენებლო წარმოების და სატყეო ტრანსპორტის მუშათა მიტინგზე, მკაცრად ჰგმობს კერზონის ულტიმატუმს და მოითხოვს მუშების აქტიურ გამოსვლას საბჭოთა რუსეთის სრული ცნობის სასარგებლოდ.

შეთანხმებელთა კონგრესზე

ჰამბურგი. 26 მაისი. კონგრესზე [illegible] გაფართოებულია. ინგლისის დელეგატმა ბრაილსფორდმა სასტიკად გააკრიტიკა კერზონის ულტიმატუმი და განაცხადა, რომ მუშათა პარტია მოითხოვს საბჭოთა რუსეთის ცნობას, ბაუერის რეზოლიუცია რუსეთის საწინააღმდეგო გალაშქრებებით — შემცირებულია: პროტესტი ინტერვენციის წინაა-

აბრამოვიჩის რეზოლიუციაში, დიდი შემცირების შემდეგ, პროტესტი ინტერვენციის წინააღმდეგ შეადგენს ნახევარს. ბაუერის რეზოლიუცია ერთხმად არის მიღებული; აბრამოვიჩის—196 ხმით, თრის წინააღმდეგ, თავი შეიკავა 29, ინგლისელებთან ერთად.

ლოზანას კონფერენცია

შეთანხმება ბერძნებს და ოსმალოებს შორის.

ბერლინი. 27 მაისი. ბერლინის პრესის ცნობით, ლოზანაში ბერძნებს და ოსმალოებს შორის მოხდა შეთანხმება. საბერძნეთი სცნობს ვალდებულებებს ოსმალეთისათვის ანაზღაურების შესახებ, მაგრამ უარს ამბობს ფულით ანაზღაურებაზე, რისთვისაც საბერძნეთი უთმობს კარაგაჩს.

ისმეტ-ფაშის განცხადება.

პარიზი, 28 მაისი. საფრანგეთის პრესა კმაყოფილებით აღნიშნავს ოსმალეთ-საბერძნეთის კონფლიქტის დამთავრებას რეპარაციების საკითხში, მაგრამ ამავე დროს დასძენს, რომ საფრანგეთმა უნდა ატაროს ამ ხელშეკრულების მთელი სიმძიმე, ვინაიდან ისმეტ ფაშამ განაცხადა, რომ ოსმალეთს, ისევე როგორც საბერძნეთს, საშუალება არ აქვს გადაიხადოს მასზე დაკისრებული ფინანსიური ვალდებულებანი.

პარიზი. 28 მაისი. საფრანგეთის რწმუნებულს დაევალა გააფრთხილოს ვენიზელოსი იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც დაეკისრება საბერძნეთს, თუ ის მოსპობს ლოზანაში მოლაპარაკების საშუალებას.

პოლონეთის ახალი მთავრობა

მთავრობის შემადგენლობა.

მოსკოვი. 30 მაისი, პოლონეთის ახალი კაბინეტის შემადგენლობაში შედიან: პრემიერი-ვიტოში, გარეშე საქმეთა მინისტრი-სახალხო დემოკრატი-სეიდა, შინაგან საქმეთა მინისტრი-პიასტოვეცი ვერნიკი, ფინანსთა მინისტრი—გრაბსკი, სამხედრო მინისტრი—გენერალი ოსინსკი. დემბსკის ჯგუფმა და აგრეთვე ნაციონალურმა უმცირესობებმა განაცხადეს, რომ ოპოზიციაში უდგებიან ახალ კაბინეტს.

სხვადასხვა ამბები

იტალია

განხეთქილება ფაშისტების შორის

რომი 26 მაისი. ფაშისტების პარტიიდან გამორიცხულია ფაშისტურ სინდიკალიზმის მთავარი ორგანიზატორი პადოვანი, რომელსაც თან გაჰყვა 80.000 მისი მიმდევარი. პადოვანის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის მოხდა შეტაკება.

ამერიკა.

ადმირალ სტარკს აუჯანყდნენ.

ნიუ-იორკი. 28 მაისი. „ასსოშიეტედ პრესის“ ცნობით, ამერიკულ სატრანსპორტო გემზე, რომელზედაც იმყოფებოდნენ ადმირალ სტარკის 500 მეზღვაური, რომლებიც ამერიკაში მიემგზავრებოდნენ, აჯანყდნენ რუსი მეზღვაურები, შეერთებული შტატების ერთ სამხედრო გემს წინადადება მიეცა დააკავოს სატრანსპორტო გემი.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი.

წითელ პროფესორთა ინსტიტუტთან ახალი ფაკულტეტის დაარსება.

მოსკოვი. 27 მაისი. წითელ პროფესორთა ინსტიტუტთან ეწყობა იურიდიული ფაკულტეტი.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის ხელისშემწყობი ჯგუფები.

ჩიტა. 27 მაისი. პრიამურის გუბერნიაში დაარსებულია საბჭოთა ხელისუფლებისათვის ხელის შემწყობი 100 მეტი ჯგუფები; ჯგუფების დანიშნულებაა კანონებისა და დადგენილებების ცხოვრებაში გატარება.

ეხლა მოიტანიბენ სარგებლობას.

ვოლოგდა. 27 მაისი. ნაციონალიზაცია ჰყო და საგუბერნიო მუზეუმს გადაეცა ყოფილ არქიელის სახლის შენობები და აგრეთვე მე-16 საუკუნეში აშენებული ტაძარი.

წითელ მეზღვაურთა პირველი გამოშვება.

ოდესა. 27 მაისი. შესდგა ოდესის საზღვაო ტექნიკუმის წითელ შტურმანებისა და გემის მექანიკების პირველი გამოშვება. გამოშვებულია 15 შტურმანი და 15 მექანიკი.

ყველა ხმები კომუნისტებს.

ოდესა 27 მაისი. ქალაქის საბჭოს არჩევნები „ყველა ხმები — კომუნისტებს“ ლოზუნგით მიმდინარეობს. განათლების მუშაკთა, ხელოვნების მუშაკთა და საბჭოთა მოსამსახურეების კავშირმა დიდი უმრავლესობით საბჭოში გაგზავნეს კომუნისტები და მიიღეს კომპარტიის ნაკაზი.

ჭლექთან მებრძოლი სრულიად რუსეთის ყრილობა.

მოსკოვი. 28 მაისი. გაიხსნა ჭლექთან მებრძოლი სრულიად რუსეთის მეორე ყრილობა. მონაწილენი—500 მეტია.

ინგლისის ფლოტი რუსეთის მოსაზღვრე წყლებში.

მოსკოვი. 29 მაი. 26 მაისს ჩვენს საზღვრებზე წყლებში გამოჩნდა ინგლისის სამხედრო გემები: ორი კრეისერი, ნაღმოსანი და ორი სამხედრო ტრალლერი.

ეს გემები დღევანდლამდე დასცურავდნენ ჩვენი საზღვრიდან 10 ვერსის მანძილზე. დღე დილის 6 საათზე ციპ-ნავოლოკას მახლობლად გამოჩნდა ინგლისის 2 კრეისერი, 2 სამხედრო ტრალერი ნაპირიდან ერთი ვერსის მანძილზე. ხარლოვის მხარეს განუშორებლად სდგას ნაღმოსანი ნაპირიდან 9 ვერსის მანძილზე. ჯერ-ჯერობით ეს გემები რაიმე სამტრო მოქმედებას არ იჩენენ, თუმცა შესაძლებელია რომ ნაღმები ჩაჰყარონ ზღვაში.

დღევანდელის ცნობით კოლკის ყურეში გამოჩნდა მოცურავი ორთქლის ნაღმი, რომელიც დასტურდება, რომ ჩვენს წყლებში დასცურავს ინგლისის ნაღმოსანი „კოდეცი“.

შავი ზღვის ფლოტი რევოლიუციის სადარაჯოზე.

სევასტოპოლი 28 მაისი. რესპუბლიკის საზღვაო ძალთა კომისარმა, რომელიც ეხლა სევასტოპოლში იმყოფება, საუბრის დროს განაცხადა: შავი ზღვის ფლოტის დათვალიერებამ დაგვანახვა, რომ ყველა დარგის სააღმშენებლო მუშაობა დიდათ წასულა წინ. შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდა კაცების ყოლის დროს ეს ფლოტი გახდება ნამდვილ დარაზმულ სამხედრო ძალად.

საკურორტო საქმე.

ოდესა. 28 მაისი. დიდის ზეიმით გაიხსნა ამხ. რაკოვსკის სახელობის კურორტი. კურორტის სანატორიები და სამკურნალო სახლები ხელახლად არის შეკეთებული.

რკინის გზის ტარიფი.

მოსკოვი. 29 მაისი. 1 ივნისიდან მგზავრებისა და აგრეთვე ტვირთის გადასაზიდავი ქირა გადიდებული იქნება 15 პროცენტით.

ელევატორები.

მოსკოვი. 29 მაისი. მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიაში შეტანილია პროექტი ს. ს. რ. კავშირის ფარგლებში ელევატორების ქსელის გაფართოების შესახებ. პირველ რიგში აღდგენილი იქნებიან ელევატორები ჩრდილო კავკასიაში და უკრაინაში.

ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმი

კომისიის მუშაობის გეგმა.

მოსკოვი 29 მაისი. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიისა და მოსკოვში ამ ჟამად მყოფ ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრებთან ერთად, მიღებულ იქნა ამხ. კუიბიშევის მიერ შემუშავებული ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ძირითადი დებულებანი. დებულებანი შეტანილი იქნება რ. კ. პ. ცეკაში განსახილველად. ადგილობრივ ორგანოების საკითხის შესახებ ცენტრალურ საკონტროლო კომისიამ დაადგინა, რომ ადგილობრივი საკონტროლო ორგანოები მუშაობენ პარტიის წესდებისა და აგრეთვე პარტიის მე-XI ყრილობის მიერ მიღებულ საკონტროლო კომისიების დებულების თანახმად. ახალი დებულების მიერ გათვალისწინებული ფუნქციები შეიძლება მიკუთვნებულ იქნეს ადგილობრივ საკონტროლო კომისიებისათვის რ. კ. პ. ცეკასან და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის განსაკუთრებული დადგენილებით. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრების შემადგენლობა იყოფა სამ ჯგუფად, რომელთაგან პირველი მუშაობს ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და აგრეთვე რ. კ. პ. ცეკას დავალებებით, მეორე იგზავნება სამუშაოდ მუშათა და გლეხთა ინსპექციაში, მესამე შეადგენს კოლეგიის რ. კ. პ. წევრების მიერ პარტიულ წესდების დარღვევის საქმეების გასარჩევად. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის უმთავრეს ამოცანებად დებულება სთვლის პარტიული ხაზის უზრუნველყოფას ყველა საბჭოთა ორგანოების მოღვაწეობაში, მეტი სისტემატიურობის შეტანას პარტიის მიერ სახელმწიფო სამეურნეო აპარატის ხელმძღვანელობაში, სახელმწიფო სამეურნეო ორგანოების პარადი ხელმძღვანელი შემადგენლობის შერჩევისათვის ხელის შეწყობას, საბჭოთა აპარატის ხელმძღვანელებში ინიციატივის გრძნობის გაღვივებას და საბჭოთა აპარატის გამარტივებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გამოჩენილი მუშაკების აღმოჩენას მათი უფრო პასუხისაგებ თანამდებობაზე წამოსაყენებლად. მიმდინარე საქმეების საწარმოებლად ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა აირჩია ორი მდივანი ამხ. იაროსლავსკი და იანსონი.

პროფმოძრაობა

პროფინტერნის აღმასრულებელ ბიუროში.

საერთაშორისო საპროპაგანდო კომიტეტების მდივნების სხდომაზე, ამხ. ლოზოვსკიმ გააკეთა მოხსენება საერთაშორისო პროფესიონალური მოძრაობის შესახებ.

ამხ. ლოზოვსკის ცნობით, **ამსტერდამის ინტერნაციონალის რიგებში გახრწნის პროცესი თვალსაჩინო ხდება.** რურის კონფლიქტმა საგრძნობლად გაართულა ეს პროცესი, დაუპირისპირა რა ერთი-მეორეს, როგორც მოწინააღმდეგე ძალები, საფრანგეთ-გერმანიის და ბელგიის ამსტერდამელები. ინგლისის ტრედუნიონები მთავრობის პოლიტიკის ერთგულები, განზე დგანან ამ უთანხმოებიდან.

ანტანტის სახელმწიფოების სოციალისტთა კონფერენციამ, რომელზედაც ამსტერდამელები ღებულობდნენ, თუმცაღა არა ოფიციალურად, დიდ აქტიურ მონაწილეობას, უფრო წარუშლელი საზღვარი გაავლო გერმანიის და მოკავშირეთა სახელმწიფოების ამსტერდამელებს შორის.

ამხ. ლოზოვსკის მოჰყავს შემდეგი დამახასიათებელი ადგილი ამ კონფერენციის რეზოლიუციიდან: „ვცნობთ რა რეპარაციების კანონიერებას და აუცილებლობას, გაიგზავნოს დელეგაცია ბერლინში გერმანიის სოციალ-დემოკრატებთან მოსალაპარაკებლად და რეპარაციებზე მათი აზრის გამოსარკვევად“. სხვანაირად რომ ვსთქვათ, ანტანტის სახელმწიფოთა სოციალისტები გერმანიის მიმართ აწარმოებენ ისეთსავე პოლიტიკას, როგორსაც მათი მთავრობები.

ამსტერდამის ინტერნაციონალის რღვევის პროცესმა გავლენა იქონია აგრეთვე მის ფინანსიურ მდგომარეობაზედაც. მაგალითად, გერმანიის პროფკავშირებს სულ უფრო და უფრო ნაკლებად შეაქვთ საწევრო გადასახადი ამსტერდამისათვის.

ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო ამსტერდამის გაერთიანების და რუსეთის ტრანსპორტელების მომავალი შეერთებული კონფერენციის შესახებ, ამხ. ლოზოვსკი აღნიშნავს, რომ ურთიერთობა გერმანიის და საფრანგეთ-ბელგიის ამსტერდამელებს შორის ისე გამწვავდა, რომ თვით გერმანიის ტრანსპორტელების კავშირის ისეთი მემარჯვენე რეფორმისტული ბელადები, როგორიც არიან დარინგი (ადგილობრივი ტრანსპორტი) და შეფელი (რკინის გზელები) ემხრობიან რუსეთის კავშირებთან ურთიერთობის დაჭერას.

შემდეგ ამხ. ლოზოვსკი ეხება პროფინტერნის მომხრეების გავლენის ზრდას ჩრდილოეთ-ამერიკის პროფკავშირებში. პროფესიონალური პროპაგანდის ლიგამ გააფართოვა თავისი მუშაობა და ის ეხლა ამერიკაში ყველა კლასობრივ ორგანიზაციებზე უფრო ძლიერად ითვლება. შეერთებული შტატების ბურჟუაზია კვლავ რეპრესიების გზას დაადგა მუშათა ბელადების მიმართ და რუტენბერგის დაპატიმრება, უეჭველად, იმის მაჩვენებელია, რომ ამას წინად განთავისუფლებულ ფოსტერის ხელმეორედ დაპატიმრების შესაძლებლობა არ არის თავიდან აშორებული.

ამხ. ლოზოვსკი თავის მოხსენებას ათავებს საფრანგეთის, ინგლისის და ბალკანეთის პროფესიონალური მოძრაობის დახასიათებით.

შემდეგ სხდომამ მოისმინა მოხსენება მბეჭდავების საერთაშორისო საპროპაგანდო კომიტეტის მუშაობის შესახებ.

პოლიგრაფიული წარმოების მუშათა პროფესიონალურ კავშირებში მთელ მსოფლიოში გაერთიანებულია ნახევარი მილიონი წევრი, რომელთაგან მბეჭდავების საერთაშორისო კომიტეტს ემხრობა დაახლოვებით 190 ათასი კაცი. ამას გარდა 5 სახელმწიფოში (რუსეთი, საფრანგეთი, ბულგარეთი, ნორვეგია და ჰოლანდია) მოიპოება დამოკიდებული ორგანიზაციები, რომელთა წევრების საერთო რაოდენობა უდრის 83,000 კაცს. დანარჩენ 107,000-ს შეადგენენ რევოლიუციონური უმცირესობანი რეფორმისტულ კავშირებს შიგნით.

ამ ჟამად მბეჭდავების საერთაშორისო საპროპაგანდო კომიტეტს თითქმის ევროპის და ამერიკის თვითეულ სახელმწიფოში მოეპოება თავისი კორესპონდენტი და დასაყრდნობი პუნქტი. საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობაში მბეჭდავების საერთაშორისო კომიტეტმა მიაღწია მნიშვნელოვან გამარჯვებას. მაგალითად, რევოლიუციონურ მბეჭდავების მე-3-ე საერთაშორისო კონფერენციის რეზოლიუციები გამოქვეყნებული იყო, რუსეთს გარდა, 11 მბეჭდვით ორგანოში ყველა ევროპიულ ენაზე და გავრცელებული 180,000 ეკზემპლიარამდე. ამას გარდა, მბეჭდავების საერთაშორისო კომიტეტს აქვს უცხოეთში თავისი მუდმივი ბეჭდვითი ორგანოები.

კომიტეტის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა სრულიად რუსეთის მბეჭდავების კავშირის მუშაობის სისწორით გაშუქება უცხოეთში.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

იცნობენ რუსეთის პოზიციას

ბერლინი. 27 მაისი. გუშინ ბერლინში შესდგა მელითონეთა პროფკავშირების რევოლიუციონურ ორგანიზაციების საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციამ მოიწონა რუსეთის დელეგაციის თვალსაზრისი და დაადგინა მიმართოს მელითონეთა ინტერნაციონალის აღმასრულებელ ბიუროს წინადადებით, რათა დაუყოვნებლივ დაარსდეს ტრანსპორტის მუშების მაგალითის მიხედვით მოქმედების საერთაშორისო კომიტეტი ომის საფრთხის და ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ინგლისის მეზღვაურთა მოძრაობა.

როგორც ვიცით, მეზღვაურების და ცეცხლის შემკეთებლების ნაციონალური კავშირის უკანასკნელმა კონფერენციამ დაადგინა დაეთანხმოს სამუშაო ხელფასის შემცირებაზე, რასაც მოითხოვდა საზღვაო უწყება. რადგანაც საზღვაო უწყება დღემდეც არ სცნობს ტრანსპორტელების კოოპერაციაში შესულ მეზღვაურების გაერთიანებულ კავშირს, საზღვაო უწყების ამ დადგენილებას ძალა აქვს მთელი ბრიტანეთის სავაჭრო ფლოტზე.

მეზღვაურებს შორის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ კავშირმა ხელი მოაწერა სამუშაო ხელფასის შემცირებაზე და ამ ნიადაგზე წარმოიშვა მთელი რიგი კონფლიქტებისა.

მაგალითად, საუტჰემპტონში ორი საოკეანო გემი არ გამოვიდა ნავთსადგურიდან თავის დროზე მეზღვაურების გაფიცვის გამო, რომლებმაც უარი სთქვეს სამუშაო ხელფასის შემცირებაზე. ამავე ნიადაგზე წარმოიშვა მღელვარება საოკეანო გემზე „მავრიტანია“-ზე, სადაც მეზღვაურებმა კატეგორიულად უარი განაცხადეს მუშაობის ახალი პირობების მიღებაზე.

როგორც გადმოგვცემს მეზღვაურების გაერთიანებული კავშირის ერთი წარმომადგენელთაგანი, შტრი-

იკბრიხერები, რომლებმაც დაიკავეს ადგილები სოუტჰემპტონიდან გასულ ორ გემზე, ითვლებიან მეზღვაურების და ცეცხლის შემკეთებლების ნაციონალური კავშირის წევრებათ.

კიდევ ერთი ცნობიდან სჩანს, რომ გემზე „მაჟესტია“ გამოცხადებულია ლოკაუტი 200 მეზღვაურის წინააღმდეგ. გემების საზოგადოებამ დაიწყო ზომების მიღება იმისათვის, რათა მოაგროვოს უმუშევრები სხვა ნავთსადგურებიდან.

მეზღვაურებს შორის დაწყებულ მღელვარების გამო მეზღვაურთა გაერთიანებულმა კავშირმა გამოაქვეყნა საზღვაო უწყებასთან შეთანხმების დამდებ კავშირის თავმჯდომარის ცნობა, რომელშიაც უკანასკნელი თავს იმართლებს და უარყოფს მეზღვაურების განცხადებებს იმის შესახებ, თითქოს შეთანხმება საზღვაო უწყებასთან განაკვეთების შემცირების შესახებ მოხდა მეზღვაურთა მასების თანხმობის გარეშე, და რომ ის ეკითხებოდა ყველა მეზღვაურებს, რომლებთანაც მას უხდებოდა ახლო ყოფნა. მაგრამ კენჭის ყრა ამ საკითხის შესახებ მაინც არ მომხდარა.

რადგანაც მთელ რიგ ნავთსადგურებში წარმოიშვა გაფიცვები და ლოკაუტები ცალკე გემებზე, მეზღვაურების გაერთიანებული კავშირის ლიდერი ლონდონიდან გაემგზავრა სოუტჰემპტონში მებრძოლ მეზღვაურების მასიურ მიტინგებზე გამოსასვლელად.

გლაზგოში მეზღვაურთა მასიურ მიტინგზე გამოვიდა შინველი, რომელმაც განაცხადა, რომ კონფლიქტის მიზეზი აიხსნება მით, რომ კავშირის წევრები არ იყვნენ დაკითხულნი სამუშაო ხელფასის შემცირების საკითხის გადაჭრამდე. შინველი ურჩევდა მეზღვაურებს უარი ეთქვათ სამუშაო ხელფასის ყოველგვარ შემცირებაზე.

ლივერპულში შესდგა მეზღვაურების მიტინგი, რომელიც მოიწვია საგაფიცვო კომიტეტმა. მიტინგზე დაესწრენ მრავალი უმუშევრები. მიტინგზე მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომლის ძალითაც მეზღვაურები ვალდებული არიან არ მიიღონ არავითარი მუშაობა იმ გემებზე, რომლებზედაც ადგილი აქვს კონფლიქტებს. ამავე დროს მიტინგმა მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია ღარიბთათვის მზრუნველობის კომიტეტების ადმინისტრაციის მუშაობის წინააღმდეგ, რომელიც გზავნის უმუშევრებს იმ გემებზე, რომლებზედაც ადგილი აქვს კონფლიქტებს. კრებამ გადასწყვიტა მხარი დაუჭიროს გაფიცულებს უმუშევართა დემონსტრაციების და პროცესიების მოწყობის გზით.

„ხაერ. მუშ. მოძ.“

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აფხაზეთი

რკინის გზა შავი ზღვის მხარეს.

სოხუმი. 28 მაისი. შავი ზღვის სანაპიროებზე მოვიდა ტექნიკური კომისია გზათა კომისარიატის და სხვა უწყებათა წარმომადგენლობის შემადგენლობით. კომისიამ უნდა გამოიკვლიოს შავი ზღვის რკინის გზის მიმართულება ტუაპსედან ადლერამდე. ამ კომისიის ნაწილი სოხუმში ჩამოვიდა აფხაზეთის კომისარიატთან მოსალაპარაკებლად და იმის გამოსარკვევათ, თუ აფხაზეთის სოც. საბჭოთა რესპუბლიკა რა მონაწილეობას მიიღებს ამ რკინის გზის გაყვანისა და ექსპლოატაციისათვის შედგენილ სააქციონერო საზოგადოებაში, რომელსაც განზრახული აქვს აგრეთვე სათავეში ჩაუდგეს სანაპიროების კურორტების საქმეს და ხე-ტყის დამუშავებას. ამ ჟამად უკვე შემუშავებულია ხსენებულ საზოგადოების წესდება და ირკვევა, თუ რა თანხას დასდებს სახელმწიფო ამ საქმეში თავისი სახალხო კომისარიატების სახით და როგორ მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე კერძო კაპიტალი.

გემთამშენებლობა.

სოხუმი. 28 მაისი. დაიბეჭდა და გამოვიდა დეკრეტი „სოც. საბჭ. აფხაზეთის რესპუბლიკის გემთამშენებლობის დებულება“, რომელშიაც მოთავსებულია: 1) დებულების ძალაში შესვლა, 2) დებულება გემთამშენებლობაზე, 3) დებულება პროკურატურაზე, 4) დებულება ადვოკატურაზე. ამ კრებულს დართული აქვს დეკრეტები აფხაზეთის სახალხო კომისარიატისა, რომელშიაც მოყვანილია სისხლის სამართლის კანონთა კრებულის ზოგიერთ მუხლების ცვლილებანი.

აზერბეიჯანი

ამხ. ვოროვსკის სახელობის სოფელი.

ბაქო. 28 მაისი. ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციის სამი წლის თავზე ზაბრადსკის სასარეწაო რაიონში დაარსდა მუშების სოფელი ამხ. ვოროვსკის სახელობაზე.

ბაქოს ბაზრობა.

ბაქო. 28 მაისი. ბაქოს ბაზრობაზე ოპერაციების ზრდის გამო რუსეთის და აზერბეიჯანის სახელმწიფო ბანკების. განყოფილებების მუშაობას განსაკუთრებული გამოცოცხლება დაეტყო. საბაზრო ოპერაციების გასაადვილებლად ხსენებულ ბანკების განყოფილებებმა გამოიმუშავეს სპეციალური შეღავათიანი პირობები სესხის მისაცემად და სხვა.

წყალდიდობის საფრთხე.

ნუხა. 29 მაისი. ქ. ნუხას და მის მაზრას კვლავ ელის წყალდიდობის საფრთხე. ამ ოცი წლის განმავლობაში წყალდიდობისაგან წაულეკია 15000 დესეტინა კულტურული მამული. ქალაქის მთის ძირის მხარეს წალეკვა ელის. თუ დამბების შეკეთება არ მოხდა, წყალდიდობა დიდ ზიანს მიაყენებს აბრეშუმის მოსავლიანობას. მაზრას დაუყოვნებელი დახმარება ესაჭიროება ხე-ტყის მასალით.

მოსავალი საშუალოს გადააჭარბებს.

ბაქო. 29 მაისი. მთელს აზერბეიჯანში მოსავალი საშუალოს გადააჭარბებს. პური ცოტა გვიან შემოდის. დაბლობებში ქერები გაიჭრება ივნისის პირველებში, ყანები კი—ცოტა გვიან. მთელს მაზრაში მოდებულია პურის ჭია რომელიც ყანების გარშემო თავთავებს ანადგურებს.

ექსტერნების გამოცდა.

ბაქო. 29 მაისი. სახალხო განათლების განყოფილებაში 2 ივნისიდან დაიწყება პირველი კურსის ექსტერნების გამოცდა.

ფულის გადადება.

ბაქო. 29 მაისი. აზერბეიჯანის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ წინადადება მისცა საფონდო კომისიას, რათა აზერბეიჯანის აღმასრულებელ კომიტეტის მოღვაწეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გადასცეს 600 მ. ოქრო, შინაგან საქმეთა კომისარიატს ყუბის მაზრაში სამკურნალო დაწესებულებათათვის—1000 მან. ოქრო, თურქების ცენტრალ პარტიულ სკოლას—5000 მ. ოქრო, ნავთის მრეწველთა განათლების კომისარიატს—18,000 მან. ოქროთი, საზღვარ-გარეთ გაგზავნილ სტიპენდიანტების დასაკმაყოფილებლად.

სომხეთი

გამოფენა.

ერევანი. 28 მაისი. სოციალური აღზრდის მთავარი სამმართველო აწყობს თავისი მუშაობის გამოფენას. გამოფენისათვის მზადდება სოციალური აღზრდის განყოფილების მუშაობის ნიმუშები ყველა დარგებიდან.

საშკოლო საქმე.

ერევანი. 28 მაისი. ალბაბის რაიონში გაიხსნა 8 თურქული სკოლა. გლეხები სთხოვენ აღმასკომს გახსნან სკოლები სოფლებში.

კარტოფილის მოსავალი.

დელიჟანში. 29 მაისი. დელიჟნის მაზრაში კარტოფილის მოსავალს კარგი პირი უჩანს.

უმუშევართა კავშირი.

ერევანი. 29 მაისი. უმუშევართა კავშირი განაგრძობს თავისი მოღვაწეობის გაფართოვებას. ამ დღეებში მან გახსნა სამკერვალო. კავშირმა შეადგინა არტელი ყოველნაირი მუშაობისათვის.

წყლით სამკურნალო.

დელიჟანი. 29 მაისი. დელიჟანში მოქმედება იწყო წყლით სამკურნალომ, რომელიც ეს სამი წელიწადია შეკეთებაში იყო.

დელიჟანი გამშვენიერდა.

დელიჟანი. 29 მაისი. დელიჟნის კომუნალურ მეურნეობის მუშაობამ დაადგინა შეაკეთოს როტონდა, მოაწყოს ბაზარი და გაანათოს ქუჩები.

პარტიული ცხოვრება

ტფილისის ალმასკომის კომ-უჯრედში.

18 მაისს შესდგა ტფილისის ალმასკომის კომუჯრედის კრება, რომელსაც უპარტიო ამხანაგებიც ბლომად დაესწრენ. თავმჯდომარეობდა ამხანაგი სტეფანოვა.

მოხსენებას ბრიტანეთის მთავრობის ნოტის და საბჭოთა რუსეთის პასუხის შესახებ აკეთებს ამხ. მინასიანი. მომხსენებელი ამბობს, რომ ევროპის პროლეტარიატი თანდათან ერთიანდება მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ და მით ახლოვდება საერთაშორისო ბურჟუაზიის აღსასრული. ბურჟუაზია, გრძნობს რა საფრთხეს, კომინტერნის და პროფინტერნის წინააღმდეგ ქმნის ფაშისტურ რაზმებს და ემზადება საბჭოთა რუსეთზე თავდასასხმელად. ამის უტყუარი საბუთია ამხ. ვოროვსკის მკვლელობა და ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრის კერზონის ულტიმატიური ნოტა საბჭოთა რუსეთისადმი. მომხსენებელმა ვრცლათ დაახასიათა ევროპის ბურჟუაზიული მთავრობების დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთთან წინათ და ეხლა და გამოსთქვა რწმენა პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვებაში.

შემდეგ ილაპარაკეს ამხ. ფიალკოვსკიმ, ღ. რუხაძემ და არტიომოვამ, რომლებმაც სავსებით და ყოველ მხრივ გააშუქეს საკითხი. დასასრულ მიღებულ იქნა შესაფერი რეზოლიუცია.

ხ.

იმედები ახალგაზრდობაზე.

პირველ მაისს საფოსტო მატარებლით მოვემგზავრებოდი თბილისისაკენ. საათის 10 იქნებოდა, რომ მოვედით სადგ. სუფსაში, სადაც ჩემთან მატარებელში შემოირბინა სუფსის ახალგაზრდათა კომკავშირის ინსტრუქტორმა და მთხოვა დავრჩენილიყავი სუფსაში პირველი მაისის მნიშვნელობაზე მოხსენების გასაკეთებლად.

მშვენიერი დღე იყო, სადემონსტრაციო მიტინგზე მწყობრ-მწყობრათ მოეშურებოდენ ახალგაზრდები, მუშები, გლეხები და მოწაფეები. საათის პირველზე გაიხსნა საზეიმო მიტინგი, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ სოფლის გლეხებთან ერთად რკინის გზის მუშებიც განსაკუთრებული მხიარულებით, მწყობრათ მიეშურება მიტინგისკენ ახალგაზრდობა, რიცხვითაც ისინი მეტი იყვნენ.

ეტყობა გურიის ახალგაზრდათა კომკავშირს ფართოდ უწარმოებია მუშაობა, მნიშვნელოვან შედეგებისთვისაც მიუღწევია, ახალგაზრდობა ჩვენსკენ არის, ჩვენ შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ ახალგაზრდობის. კომკავშირი დღითი-დღე იზრდება, მისი გავლენა თანდათან მტკიცდება, როგორც საერთოდ მთელ საქართველოში, ისე გურიაში. ეს თავდებია ჩვენი იმედების გამართლების, ჩვენი იდეების საბოლოო გამარჯვების!

ჟ. ბ.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი თბილისში.

(30 მაისი.)

ჩერვონცები —11,200 ათასი.
გირვან. სტერ. —12,700 ათასი
დოლარი —3,100 ათასი
ოსმალ. ლირა —2,060 ათასი.
საბჭ. ფულ. ნიშ. —19,25 ათასი.

ვალიუტის ბაზრის ხასიათი.

(30 მაისი).

დღეს დიდი მოთხოვნილება იყო ყველა ვალიუტაზე. განსაკუთრებით გირვანქებსა და დოლარებზე. მიწოდება ძალიან სუსტია. საერთოდ განწყობილება გაცხოველებულია.

ძვირფასი ლითონების კურსი

(30 მაისი)

(ჩერვონცებში.)

ოქრო 96 სინჯის—0,725 ჩ. ოქრო 56 სინჯ.—0,367 ჩ.; ვერცხლი 84 სინჯის—0,01428 ჩ., 1 მან. ვერცხლის ხურდა —0,0918 ჩ.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოში

წარსულ წელთან შედარებით ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს შაქრის ოპერაციები შესამჩნევად გაფართოვდა იმის გამო, რომ მოსკოვთან სავაჭრო დამოკიდებულება ეხლა უფრო გაცხოველდა. იმ გარემოებამ, რომ 1923 წ. ბაზარზე გამოშვებულ იქნა 12 მილიონი ფუთი შაქარი, შეძლება მისცა ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს ა. წ. იანვარში ხელშეკრულება დადოს შაქრის ტრესტთან, რომლის მიხედვითაც ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს მიეცა 500,000 ფუთი ნატეხი და ფხვნილი შაქარი; ეს რაოდენობა საკმარისია ამიერ-კავკასიის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. შაქარი მოდის დიდი პარტიობით და ნაწილდება თბილისში და ამიერ-კავკასიის განყოფილებებს შორის. შაქრის ნაწილი გაგზავნილია სპარსეთში (13 ვაგონი ნატეხი და 10 ვაგონი ფხვნილი შაქარისა). 105 ვაგონი, რომელიც ბაქოს ბაზრობისათვისაა დანიშნული, გადატვირთულია ბაქოში.

როგორც განყოფილებებში, ისე თბილისშიაც შაქარი საღდება კოოპერატივების საშუალებით; ამ უკანასკნელთ 3 პროც. შეღავათი ეძლევათ კერძო მყიდველებთან შედარებით.

წარმოკავშირში

საზოგადოება „მწყემსი“

საზოგადოება „მწყემსი“ შეუდგა მატყლის საგაზაფხულო შეგროვებას თავისი წევრებისაგან. ადგილებზე დაგზავნილია აგენტები მატყლის მისაღებად.

ამერიკული ვენახის სანერგე

მევენახეთა საზოგადოებამ „კავშირთ-კავშირმა“ შარშან 3 დესეტინის მანძილზე გამართული სანერგე წელს გააფართოვა კიდევ 5 დესეტინით, რაც საშუალებას მისცემს საზოგადოებას დაამზადოს მასალა 800,000 ნამყენისათვის.

ამ ჟამად მუშაობა სწარმოებს კახეთისათვის ნამყენების დასამზადებლად; სანერგეში ირგვება 180,000 ნამყენი, რომელნიც რიხტერის მეთოდის მიხედვითაა დამზადებული.

ორანჟერეია მუკუზანში

დამთავრდა ორანჟერეის აშენება და მოწყობა მუკუზანში (კახეთი), რომლის საშუალებითაც განზრახულია 500 ათასი ნამყენის დამზადება რიხტერის მეთოდის მიხედვით.

სიდიდის მხრივ—ეს პირველი ორანჟერეიაა საქართველოში და მოწყობილია საზოგადოება „კავშირთ-კავშირის“ თაოსნობით.

ნაადრევი ხილეულობის გაზიდვა

წარმოკავშირში ამხ. „ქართლი“-ს საშუალებით მოსამზადებელ მუშაობას აწარმოებს მოსკოვში ერთი ვაგონი ახალი ხილის გაგზავნისათვის. გამგეობა შეუთანხმდა საციებელ ვაგონების განყოფილებას იმის შესახებ, რომ სეზონის ოპერაციების განმავლობაში გამგეობას დაეთმოს 100 საციებელი ვაგონი. დღევანდლამდი გამოყენებულია 24 საციებელი ვაგონი.

1923 წლის მეაბრეშუმეობის კამპანია

კავკასიისათვის მიმდინარე წელს შემოტანილი იყო თბილისის მეაბრეშუმეობის სადგურზე 151,511 კოლოფი აბრეშუმის თესლი, რომელთაგან 102,709 კოლოფი დატოვებული იქნა კავკასიაში, ხოლო დანარჩენი გატანილია მის საზღვრებიდან.

თბილისის მეაბრეშუმეობის სადგურზე მომხდარი გამოკვლევიდან აღმოჩნდა, რომ გამოსადეგი თესლი იყო სულ 104,923 კოლოფი, რომელიც დანაწილდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შორის.

ამგვარად, საქართველოს მიეცა 51,489 კოლოფი, აზერბეიჯანს—50 ათას 434, სომხეთს—1,000 და ნახიჩევანის მხარეს—2,000 კოლოფი. ამიერ-კავკასიის საზღვრებიდან გაიგზავნა; თურქესტანში—40,999, დონის ოლქში—164 და სპარსეთში—13,638 კოლოფი.

მიღებულ ცნობებიდან სჩანს, რომ მეაბრეშუმეები დიდ ინტერესს იჩენენ საქმისადმი და ხალისით იძენენ თესლს.

საზ. „აბრეშუმი“

შემუშავებულია სააქციონერო საზოგადოების — „აბრეშუმი-ს“ წესდება. საზოგადოების მიზანია მეაბრეშუმეობის პროდუქტების წარმოების და ყიდვა-გაყიდვის გაფართოება. საზოგადოების დამაარსებლებათ გამოდიან: ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო, აზერბეიჯანის მრეწველობის და ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, ცეკავშირი, სომხეთის მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატი, თურქესტანის მეაბრეშუმეობის სამმართველო და რ. ს. ფ. ს. რ. მეაბრეშუმეობის ტრესტი.

საზოგადოების ძირითად კაპიტალს შეადგენს 2.000.000 მან. ოქროთი, რომელიც იყოფა 20 ათას აქციებად, რომელთა 75 პროცენტს ღებულობენ სახ. დაწესებულებები და კოოპერატივები.

საზოგადოება მიზნად ისახავს: ადგილობრივ აბრეშუმის თესლის წარმოების ორგანიზაციას, რისთვის აწყობს თესლის სადგურებს; მეაბრეშუმეებისათვის როგორც ადგილობრივი, ისე უცხოეთის თესლის მიწოდებას; აბრეშუმის ამოხვევის საქმის აღდგენას, განვითარებას და გაუმჯობესებას, მეაბრეშუმეებისათვის კრედიტის მიცემას; ახალ აბრეშუმის სახვევი ქარხნების გახსნას; მუდმივ და მოძრავ გამოფენების მოწყობას და სხვ...

პროფკავშირებში

მეკურტნე მუშების კავშირის დაარსება.

ამ ჟამად ტფილისში მეკურტნე მუშების რიცხვი აღწევს 2000 კაცამდე. სატრანსპორტო კავშირებმა გადასწყვიტა მათი ორგანიზაციულათ შეკავშირება. კავშირი უკვე შეუდგა აღნიშნულ მუშების აღრიცხვას და სათანადო მუშაობას.

საბჭოთა მუშაკების კავშირში კულტმუშაობა.

კავშირმა უკანასკნელ თვის განმავლობაში გახსნა 8 სკოლა ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე. საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ კავშირმა გადასდო 100 მილიონი მანეთი.

ურთიერთ დამხმარე ფონდი.

კავშირის დადგენილებით, გაუმჯობესებულია ურთიერთ დამხმარე ფონდი და მთელი თანხა გადაირიცხა ურთიერთ დამხმარე კასებში. სადაც სესხის დაბრუნება უნდა ხდებოდეს საქონლის მანეთის კურსის მიხედვით.

სახადილო უმუშევართათვის.

კავშირის პრეზიდიუმის დადგენილებით, უმუშევართათვის მოწყობილი იქნება უფასო სასადილოები. კავშირი შეუდგა საჭირო ნივთების შეძენას.

ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირში.

სკოლა შოფერებისათვის.

კავშირის პრეზიდიუმის დადგენილებით, ამ მოკლე ხანში გაიხსნება სკოლა კავშირის წევრ შოფერებისათვის.

ადგილკომების დაარსება.

კავშირის პრეზიდიუმის დადგენილებით, რკინის გზის ლაინდაგის ყოველ ცენტრებთან დაარსებული იქნება ადგილკომი, რაც ხელს შეუწყობს საორგანიზაციო მუშაობის გაცხოველებას.

სამაზრო განყოფილების დავალიანება.

ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირმა დაუგზავნა ცირკულიარი ყველა სამაზრო განყოფილებებს დაუყოვნებლივ დაფარონ ცენტრ. კავშირისადმი დავალიანება და შემდეგში იმოქმედონ დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

შორაპნის მუშათა არტელის დათავალიერება.

კავშირის მიერ შორაპანში მუშათა არტელის დასათვალიერებლად გაიგზავნა წარმომადგენელი, რომელსაც დაევალა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მუშათა პროლეტარულ ნაწილს.

ქიმიკოსთა კავშირში.

ქიმიკოსთა ც. კავშირის გაფართოებული პლენუმი.

სამდივნოს მოქმედება.

ქიმიკოსთა კავშირის გამგეობის გაფართოებულმა პლენუმმა მოისმინა სამდივნოს მოქმედება თავის მოღვაწეობის შესახებ პლენუმმა მოიწონა სამდივნოს მოქმედება, რომელიც მიმართულია ქიმიურ მრეწველობის აღდგენისაკენ.

ლოთობის მოსპობა.

ბორჯომის ქიმიკოსთა შორის ლოთობა თითქმის მოისპო კავშირის მიერ მიღებულ ზომების თანახმად.

სამეცნიერო-ტექნიკური ძალები.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსთან დაარსებული სამეცნიერო-ტექნიკური ძალების ბიურო თანდათან ანვითარებს თავის მოღვაწეობას და იკრეფს თავის გარშემო საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკურ ძალებს.

ცალკე კავშირებში დაარსდა ადგილობრივი ბიუროები, რომლებიც გასწევენ მუშაობას ცენტრალური ბიუროს დირექტივების მიხედვით.

მუშათა შორის კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის საწარმოებლად, ცენტრალურ ბიუროსთან დაარსდა სამეცნიერო-ტექნიკური კომისია, რომელიც იმავე დროს პროფკავშირთა კლუბის სამეცნიერო-ტექნიკური სექციაც იქნება.

განზრახულია სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოტეკის, ლექციების, მოხსენების და სხვათა მოწყობა.

ქრონიკა

— **ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის საჭიროებისათვის.** ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის საჭირო მასალების შესაძენათ კომუნალურ განყოფილებამ დაადგინა გაიგზავნონ შვეციაში კოლეგიის წევრი ამხ. ნიკო კიკნაძე და და ინჟ. ი. ს. ვაჩაძე.

— **ავტომობილების მოძრაობა კავკავიდან-ტფილისამდე.** 1 ივნისიდან დაიწყება კავკავიდან-ტფილისამდე საფოსტო სამგზავრო ავტომობილების მოძრაობა. ტფილისიდან ავტომობილი გავა კვირაში ერთხელ პარასკეობით დილის 8 საათზე ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის ეზოდან. დაბრუნდება ორშაბათობით.

— **გადმოფრენა მოსკოვიდან ტფილისში.** 26 მაისს მოსკოვიდან ტფილისში ჰაეროპლან „იუნკერით“ მოფრინდენ საბჭოთა ფედერაციის საჰაერო ფლოტის უფროსი ამხ. ზნამენსკი და სამხედრო მფრინავი ამხ. ველინგი.

— **ახალი ნიხრი წყალზე.** წყალსადენის მმართველობის დადგენილებით 1 ივნისიდან წყალზე არსებული ნიხრი—1 მილ. გადიდებული იქნება 600 ათას მანეთით.

გამოცემლობა.

— **ჯანმრთელობის კომისარიატის „უწყებები“.** გამოვიდა „ჯანმრთელობის კომისარიატის უწყებები“-ს № 1-ლი.

— **ახალი წიგნი.** გამოვიდა და იყიდება პროლ. პოეტ იაკინთე ლისაშვილის წიგნი: „მანქანების ჰიმნები“ წიგნი ღირს 20 კაპიკი ოქროთი და შეიცავს 48 გვერდს.

შრომის ბირჟაში.

უმუშევრები.

— 29 მაისს აღრიცხვაზე გამოცხადდა 391 აქედან ქალი 109, კაცი—282. ამავე დღეს ჩაეწერა 123 უმუშევარი—დედაკაცი 32, მამაკაცი—91. სამუშაოზე გაიგზავნა 63—ქალი 20, კაცი 43.

ფქვილი უმუშევართა სასადილოებისათვის

შრომის ბირჟამ აღძრა შუამდგომლობა გაერთიანებულ კოოპერატივების წინაშე, რათა მან გაიღოს შეღავათიან ფასებში ფქვილი უმუშევართა სასადილოსათვის.

შემთხვევები.

გაქურდვა.

— ავლაბრის ქ. № 35 გაქურდეს ნატალია დიმიტრის ბ. ბოლოსკის ასულის ბინა საიდანაც წაღებულია 300 მილ. საქონელი.

— რუდნიკოვის ქ. № 71 ბოროტმოქმედებმა მოქ. აბრამ ბალდასაშვილს მოჰპარეს 500 მილიონის სხვა და სხვა ნივთები.

— 1 უბანში ქურდებმა მოჰპარეს თამარა ამინოვისას 500 მილიონად ღირებული სხვა და სხვა ნივთები.

— უდელნი ქ. № 14 გაქურდეს ალექსანდრე ციმაკურიძის ბინა.

— ბაგრატიონის ქ. № 10 აზნაურ არუთინოვის ბინიდან ქურდებმა წაიღეს 250 მილიონის სხვა და სხვა ნივთები.

— დიდუბის ქ. № 23 გაქურდეს გაბრიელ ჩათანავა.

ქურდის შეპყრობა.

შეპყრობილია ქურდი ნიკოლოზ ბეთი, რომელიც სისტემატიურ ქურდობას ეწეოდა ბეჟი დინამშაულში გამოტყდა.

ხელოვნება

— **ალ. წუწუნავას საღამო.** დღეს, სახელმწიფო ოპერის თეატრში სეზონის დახურვის გამო გაიმართება რეჟისორ ალ. წუწუნავას საღამო და დასის გამოსათხოვარი წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება მეორე მოქ. „აბესალომ და ეთერი“-დან, მეორე მოქ. „სევილიელი დალაქი“-დან, მე-2 მოქ. „კარმენ“-იდან, ადგილები—„ევგენი ონეგინი“-დან და „თავად იგორი“-დან.

— **ხიზაფხულო კლუბი.** საბჭოთა მოსამსახურეების კავშირმა თავის საზაფხულო კლუბისათვის იქირავა აილო ბაღი „არტო“. კლუბის საზეიმო გახსნა მოხდება ამ დღეებში.

— **პლატონ კორიშელის ბენეფისი.** რუსთაველის თეატრში გაიმართება დამსახურებულ მსახიობის პლატონ კორიშელის ბენეფისი; წარმოდგენილი იქნება პირველად ამ სეზონში ვალ. შალიკაშვილის ორიგინალური პიესა: „არამზადები“.

— **ნაძალადევის თეატრი.** ნაძალადევის მუშათა თეატრის სეზონი დაიხურება 17 ივნისს. ამავე თეატრი კულტ-განათლება ხსნის საზაფხულო კლუბს. კლუბში მოწყობილი იქნება კინემატოგრაფი და ხანგამოშვებით ლიტერატურული საღამოები მუშებისათვის.

— **მსახიობ ფრანგიშვილის ბენეფისი.** კვირას, 3 ივნისს ნაძალადევის თეატრში გაიმართება პ. ფრანგიშვილის ბენეფისი. წარმოდგენილი იქნება პირველად ამ სეზონში „თამარ ცბიერი.

— **მოსკოვის მეორე სამხატვრო სტუდია თბილისში.** 1 ივნისს ბაქოდან თბილისში ჩამოვა მოსკოვის სამხატვრო თეატრის მეორე სტუდია. სტუდიის პირველი გასტროლი გაიმართება 5 ივნისს სახელმწიფო ოპერის თეატრში, წარმოდგენილი იქნება სოლოგუბის პიესა „ყვავილებიდან ნაქარგი“.

— **სურათების გამოფენა.** „აირუტიუნის“ დარბაზში (ტროცკის ქ. № 6) 3 ივნისს გაიხსნება ახალგაზრდა მხატვრების სურათების გამოფენა. მონაწილეობას იღებენ მხატვრები: ფ. ვარლამიშვილი. მ. გოცირიძე, ი. გამრეკელი, ვ. ლებედევისა, მარკარიანი, ვ. პატარიძე, ვ. პანინა, ს. ტარხარაიანი და რ. შავერდიანი. გამოფენა გასტანს 15 ივნისამდი.

— **ლიტერატურული გასამართლება.** დღეს, 31 მაისს 1-ლ სახელმ. კონსერვატორიაში შესდგება ალ. ყაზბეგის „მოძღვარის“ გმირების ლიტერატურული გასამართლება, გასამართლების წინ ვ. კოტეტიშვილი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: ალ. ყაზბეგის შემოქმედების დედა აზრი და ამ დედა აზრის განსახება „მოძღვარში“. გასამართლებაში მონაწილეობენ: სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე კ. მაყაშვილი, წევრები: მარიამ ორახელაშვილისა, რაჟდენ კალაძე, პ. დ. საყვარელიძე, აპ. სვანიძე; დამცველები: შალვა მესხიშვილი, ალ. წერეთელი, სამსონ დადიანი, პეტრე ქავთარაძე, პაოლო იაშვილი, და სერგო ამაღლობელი, ბრალმდებელი: შოთა დადიანი, ნაფიცი მსაჯულები: დ. კლდიაშვილი, ვასილ ბარნოვი, სოფრომ მგალობლიშვილი. დუტუ მეგრელი, შიო მღვიმელი, პეტრე მირიანაშვილი, ზაქ. ჭიჭინაძე, ს. გორგაძე, იუსტინე აბულაძე, გალაკტიონ ტაბიძე, მიხ. ბოჭორიშვილი და გიორგი ლეონიძე, შემოსავალი გადაეცემა სამეცნიერო კრებულის „ჩვენი მეცნიერება“-ს, გამომცემლობას, კრებულის მორიგი ნომრის გამოსაცემად. დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.

— **სახალხო სახლი.** პარასკევს, 1 ივნისს, გაიმართება რეჟისორის თანაშემწე—მსახიობ შალვა გომართელის საღამო. წარმოდგენილი იქნება 1) „სოფლის გმირები“, 2) „იასონის ოინები“ კომ. 2 მოქ. ი. გომართელისა.

— კვირას, 3 ივნისს, გაიმართება მსახიობ რ. ჭიპილას საღამო „სტუმარ-მასპინძლობა“ კომ. 3 მოქ. ტრ. რამიშვილისა.

ქართველ უდინების ცხოვრებიდან

მიწათ მოქმედების კომისარიატის მიერ მე დავალებული მქონდა მიწით მოწყობა კახეთში ახლად გადმოსახლებულ ქართველ უდინებისა, რიცხვით 207 ოჯახისა (მათში 137 ოჯახი უკვე გადმოსახლებულია და 70 ოჯახი უნდა გადმოსახლდეს მომავალში). გადმოსახლებულებს საცხოვრებელი მიწა მიეჩინათ თელავის მაზრაში, მდინარე ალაზნის გაღმა, ახალ სოფლის თემში. რამდენიმე თვის განმავლობაში მე განუწყვეტლივ ვმუშაობდი უდინებში, ვცხოვრობდი მათთან ერთად, რის გამოც საშუალება მომეცა დაახლოვებით გავცნობოდი ამ ჩვენ ახალ თანამემამულეთა ყოფა-ცხოვრებას. პირველ ყოვლისა არ შემიძლია ჩემი აღფრთოვანება არ გამოთქვა ამ ხალხის უნარის და შრომის მოყვარეობის გამო. მკითხველმა საზოგადოებამ უკვე იცის, რომ უდინებმა აზერბეიჯანში დასტოვეს საუცხოვოთ გაშენებული სოფელი: ბაღებით, ვენახებით, ბოსტნებით და ქვიტკირის შენობებით; ისინი დიდი სიხარულით გამოეშურენ თავიანთ ახალ სამშობლოში, რადგან იმედი ქონდათ თავის მარჯვენის, რომ სულ მოკლე დროში თავისი ახალი საცხოვრებელს კიდევ უკეთ მოაწყობენ, ვიდრე ძველს. ქართველმა უდინმა არ იცის რა არის დასვენება. მათ სულ მოკლე დროში უკვე დაანოყიერეს და დასთესეს პურით 100 დესეტინა მიწა, რამოდენიმე ათეული დესეტინა სიმინდით, ქერით, ფეტვით და ბოსტნეულობით. უდინების გადმოსახლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა იმ მხრივ, რომ ისინი მისდევენ ბრინჯის კულტურას, რაც სრულიად ახალი ხილია ქართველი გლეხობისათვის, მეაბრეშუმეობას, მეფუტკრეობას და სხვა ამისთანებს. წელს, ვინაიდან მათ არ ქონდათ მიჩნეული საკმაო მიწა, შესძლეს მხოლოდ 4—5 დესეტინა ბრინჯის დათესა, მაგრამ მომავალში ისინი ფიქრობენ ალაზნის პირას რამოდენიმე ათეული დესეტინა დაანოყიერონ ამ ახალი კულტურით. ცხადია, რომ მომავალში ქართველი გლეხებიც წაბაძავენ უდინებს და ბრინჯის თესვას შემოიღებენ.

უდინების გადმოსახლება-მოწყობაში საქართველოში დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველ უდინს ამხ. ზალიკო (ზინო) სილიკაშვილს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამხ. სილიკაშვილი თუ არ ყოფილიყო ამ საქმეში ჩაბმული, უდინების გადმოსახლება არ მოეწყობოდა, ამიტომაც არის, რომ ამხ. ზინოს აფასებენ და უყვართ იგი თავის თანამემამულეთ. თავის სოფელს, სადაც მოსახლეობა ექნებათ უდინებს, ამხ. ზინოს პატივსაცემლად და სანახსოვროდ „ზინობიანი“ უწოდეს.

უდინების საცხოვრებელი ადგილები ამ ჟამად სავსებით გამიჯნულია ტეხნიკის მოთხოვნით. სოფელი გაშენებული იქნება განსაზღვრული, წინასწარ შემუშავებული გეგმით. ჯერჯერობით უდინები სცხოვრობენ მიწურებში. მთელი თავის ავლა-დიდების აზერბეიჯანში მიტოვების გამო, ამ ჟამად, რასაკვირველია, ისინი დიდ სიღარიბეს განიცდიან. ამას ყურადღება უნდა მიაქციოს ქართველმა საზოგადოებამ და ამ პირველ ხანებში დახმარების ხელი გაუწოდოს თავის ახალ თანამემამულეთ.

მიწისმზომელი პ. ხაჯინაშვილი

საქართველოს აგარაკები

2. ბახმარო.

(სამეცნიერო ექსპედიციის ხელმძღვანელ პროფესორ ა. ს. ალადაშვილის და პროფ. ს. გოგიტიძის მოხსენებების მიხედვით).

არც ერთი მნიშვნელოვანი კურორტი საქართველოში ისე შეუსწავლელი არ არის, როგორც ბახმარო, რომელიც თავისი ყოველმხრივი ღირსებით საქართველოს არც ერთს ცნობილ აგარაკს არ ჩამოუვარდება. ვერ დავასახელებთ ვერც ერთ სერიოზულ ნაკვლევს, რომელიც ოდნავ მეცნიერულად დამუშავებულ დამაკმაყოფილებელ ცნობებს იძლეოდეს ამ შესანიშნავ აგარაკის შესახებ. ეს დიდი ნაკლი რამოდენიმედ გამოსწორებული იქნა იმ სამეცნიერო ექსპედიციის მიერ, რომელიც მაშინ 1922 წელს ზაფხულში გაემგზავრა ჯან. სახ-კომის განკარგულებით აგარაკ ბახმაროზე საქ. სახელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის დეკანი პროფ. ა. ალადაშვილის და ამავე უნივერსიტეტის პროფ. გოგიტიძის ხელმძღვანელობით. ექსპედიციამ მთელი ზაფხული დაჰყო ამავე ბახმაროზე, შეისწავლა რამდენადაც შესაძლებელი იყო იგი და ჯანსახკომის კოლეგიას თავისი მუშაობის შედეგების შესახებ წარუდგინა მთელი რიგი მოხსენებათა, რომელთა შინაარს მოკლეთ გავაცნობთ მკითხველ საზოგადოებას.

1. ბახმაროს გზები.

ბახმაროსკენ მიმავალი გზები წარმოუდგენელი რამეა. ეს გზა კი არა ნადირების სავალი ბილიკია. ზოგიერთ ადგილზე ცხენით გავლაც არ შეიძლება. მიმავალი ისეთ ღარებს შეხვდება, რომ თუ წინ შეხვდომილ მგზავრს არ უყვირე, ან ერთი უნდა დაბრუნდეს უკან ან მეორე, ცხენით ერთი მეორეს შემოვლა—შეუძლებელია. გზა მეტის-მეტად მდიდარია სანახაობით, თუმცა გზის სიძნელე გავიწყებს ისარგებლო ამ სიმშვენიერით. „საბაჟოს“ რომ ასცილდებით, თქვენს თვალწინ იშლება გურიის, ბათომის ოლქის და იმერეთის მრავალფეროვანი ბუნება; სურათს ამთავრებს კავკასიონის ქედი და შავი ზღვა.

თუ კარგი გზა გაკეთდა, ევროპიელები მხოლოდ გზის სიმშვენიერის სანახავადაც მოვლენ. მთელი გზა მიიმართება უმდიდრეს ტყეებს შორის და როცა ტყეები თავდება, იწყება ალპიის საძოვარი ადგილები.

2 ბახმარო.

ბახმარო მდებარეობს 1950 მეტრის სიმაღლეზე, ის გარს შემორტყმულია ჯერ წიწვიანი ტყით და შემდეგ საძოვარი მთებით, რომელნიც ზოგ ადგილს თოვლით არიან დაფარული და იმყოფებიან ბახმაროზე 350—400 მეტრით მაღლა. სწორედ ეს მთები, რომელზედაც ზაფხულის განმავლობაში თოვლი არ დნება, იფარავს ბახმაროს ქარისაგან და ამის გამო აქ იშვიათია ქარიანი ზაფხული. საერთოდ ბახმაროზე ისეთი ჰაერის მიმდინარეობაა, როგორც ზღვის პირად—საღამოს ზღვიდან მთისკენ მოჰქრის გრილი ჰაერი და დილით მთიდან ზღვისკენ. ბახმაროდან ზღვამდი პირდაპირი ხაზით იქნება 40 ვერსი. პროფ. ა. ალადაშვილის აზრით, ასეთ სიმაღლეზე ასეთი ნაზი ჰაერი ზღვის გავლენას უნდა მიეწეროს. ზოგი ავადმყოფი, რომელიც სხვა უფრო დაბალ კურორტზე ვერ სძლებს, ბახმაროზე მშვენივრად გრძნობს თავს.

ბახმარო უფრო მეტს შესწავლას საჭიროებს. ვიდრე სხვა რომელიმე კურორტი, რადგან აქ საქმე გვაქვს რაღაც არაჩვეულებრივ პირობებთან მარტო სიმაღლით არ აიხსნება ბახმაროს მრავალმხრივი მდიდარი თვისებები, დიდი მნიშვნელობა აქვთ შავი ზღვის სიახლოვეს რამდენად მდიდარია და უხვი სანახაობა ბუნების, იმდენად ღარიბია და მარტივი ადამიანის ნამუშევარი. ეს კი არა, ყოველივე ზომაა მიღებული ბუნების გასანადგურებლად: ტყეები გაჩეხილია, საძოვარი ადგილები ღორებისაგან გადახნულია, სახლები ბორცვზეა წამოდგმული. ცხოველებს საზინადროთ გაუხდიათ სახლების ქვედა-ადგილები, სახლების აშენების არავითარი გეგმა არ არის დაცული. ვისაც სად მოუსწრია სახლიც იქ აუგია.

ბახმარო, როგორც სამკურნალო ადგილი.

ყოველ ზაფხულს ბახმაროს აუარებელი სტუმარი ჰყავს. მთელი გურიიდან და საქ. ახლო მახლო კუთხეებიდან თავს იყრის აქ მრავალ გვარი ავადმყოფი. ეს აიხსნება, რასაკვირველია, ბახმაროს სამკურნალო თვისებებით. საერთოდ ის აგარაკი სასარგებლოა სისხლნაკლულებისა, ნერვებ სუსტ, მალიარიკების, ფილტვების სიჭლექის 1-ლ და მე-2 ხარისხის და საერთოდ დაღლილობისთვის.

თვით ხალხს აუღია ალლო ბახმაროსი, როგორც სამკურნალო ძალით დაჯილდოვებულ ადგილის. „თუმცა არავის არ გადაურჩევია ბახმაროს მოაგარაკენი,—ამბობს პროფ. ალადაშვილი,—მაგრამ იქ მე არ მინახავს ისეთი ავადმყოფი, ვისთვისაც ბახმაროს ჰაერი საჭირო არ ყოფილიყოსო“ მხოლოდ ფილტვების სიჭლექის მე-3 ხარისხით, დაავადმყოფებული აქ ცუდათ გრძნობს თავს: სამაგიეროთ მე II და I ხარისხის ჭლექით ავადმყოფნი ბახმაროზე მშვენივრად გრძნობენ თავს. ალადაშვილის აზრით ასეთმა ავადმყოფმა საკმაოა ორი თვე გაატარონ ბახმაროს აგარაკზე კარგ პირობებში, რომ სრულებით განიკურნონ. ექსპედიციის ხელმძღვანელთ არ ჰქონდათ საშუალება, რომ ავადმყოფები განმეორებით გაესინჯათ, საერთოდ კი ვინც მათ მხედველობას მოხვდა, განსაცვიფრებელ ცვლილებებს ამჩნევდენ. პლევრიტით საგრძნობლად დაავადმყოფებული თვე ნახევარ—ორი თვის განმავლობაში სრულიად გაჯანსაღებულიყო, ანემიკები გარეგანი შეხედულებით სავსებით შეცვლილიყვნენ. რაც შეეხება სისხლის ცვალებადობას, ზემოხსენებულ პროფესორთა დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ის რაც სხვა კურორტებზე ხდება—ე. ი. ბურთულების გამრავლება და სისხლის გემოგლობინით ღარიბებას ბახმაროზე ადგილი არ აქვს; პირიქით, იქ ბურთულებთან ერთად იზრდება გემოგლობინის რაოდენობა ეს აღსანიშნავია და საექიმო თვალსაზრისით ზედმიწევნით საგულისხმიერო.

ასეთია მოკლეთ ბახმარო, როგორც აგარაკი. მიუხედავათ ამ მაღალი ღირსებისა, იგი ვერ ახდენდა სათანადო გავლენას ავადმყოფებზე, რადგანაც მოაგარაკეთა დიდი უმრავლესობა ღარიბი გლეხობა იყო. მათ ქონებას შეადგენდა ერთი ადგილობრივი ჯიშის ძროხა, რომელიც დღეში 2 ბოთლ რძეს იწველის და 2—3 ფუთი ჭადი. ამავე დროს ნაწილ რძეს ჰყიდდა, რომ სხვა მიუცილებელი საჭიროებისთვის ფული შეეძინა. ასე, რომ სანატორიული დიეტის მაგივრად, ის იღებდა 50 პროცენტით ნაკლებ კალორიებს, რაც ჯანსაღი აგებულებისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ეს ასეთ პირობებს რომ მივუმატოთ საცხოვრებელ ბინების სრული უვარგისობა, ადვილათ მიხვდებით, თუ რატომ ვერ ახდენს სათანადო გავლენას ადგილობრივ გლეხობაზე ეს მართლაც სასწაულთ-მომქმედი აგარაკი. ბახმაროს სამკურნალო ძალა ჩვენთვის რომ სავსებით გასაგები გახდეს, საჭიროა ავადმყოფების სანატორიულ მდგომარეობაში ჩაყენება.

მინერალური წყლები ბახმაროს მახლობლად.

ბახმაროზე წყალი ზედმიწევნით სუფთაა და დასალევადაც მზატე. წყალსადენი ვერ არის რიგიანად მოწყობილი. აღსანიშნავია ბახმაროდან 10 ვერსის დაშორებით მყოფი მინერალური წყალი, სახელდობრ ნაბეღლავში. ეს წყალი ნარზანზე და ბორჯომის წყალზე ნაზი და გემრიელი დასალევია. აგრეთვე 6 ვერსზე ბახმაროდან არის თბილი მინერალური საბანაო წყალი, რომელიც მომავალში ბახმაროს ერთი სიმდიდრის წყარო იქნება. როგორც სჩანს, ბახმარო ზამთრის კურორტადაც გამოდგება.

ბახმაროს მომავალი.

ყოველივე ზემო თქმულიდან ცხადია, ისეთი სამკურნალო ადგილი, როგორც ბახმარო, ჩვენში ბევრი არ არის, შეიძლება გადამეტებული არ იქნეს თუ ვიტყვით, რომ სულ არ არის (პროფ. გოგიტიძე). და როგორც ასეთს, ბახმაროს დიდი მომავალი აქვს. თუ მას ჯეროვანი ყურადღება მიექცევა, ის გახდება არა თუ საქართველოს მასშტაბით მნიშვნელობის კურორტათ, მით ევროპაც ფართედ ისარგებლებს.

პროვინციაში

წალვერის თემი (ბორჯომის მაზრა).

წალვერის თემში დაარსებულია ოთხი სამკითხველო. გლეხობა დიდი სიამოვნებით დაიარება სამკითხველოში და მონაწილეობას იღებენ მუშაობაში. ყველა სამკითხველოებში უმთავრესათ კვირა-უქმე დღეებში ეწყობა ხოლმე ხმა-მაღლა გაზეთის კითხვა და საუბარი გლეხობისათვის საინტერესო საგნებზე, უმთავრესად სასოფლო სამეურნეო საკითხებზე.

გლეხები თუმცა გართული არიან მინდორ-ველის სამუშაოში, მაგრამ სამკითხველოში მაინც დაიარებიან და თავიანთ გამოწერილ გაზეთ „მიწის მუშა“-ს კითხულობენ და არჩევენ.

ჩვენი გლეხობა უკვე ჩაება კულტურულ საქმეში და ამის პირველი ნაყოფია დღეს ის, რომ ამ თემის გლეხებმა თავის ხარჯზე, გარდა სამკითხველოებისა, 16 გლეხმა გამოიწერა სათითაოთ გაზ. „მიწის მუშა“.

იმედია, რომ ეს იქნება მისაბაძი მაგალითი თემის დანარჩენ გლეხებისათვის, რომლებიც მოკლე ხნის განმავლობაში დაინტერესდებიან კულტურულ მუშაობით და ისინიც გამოიწერენ საჭირო გაზეთებს.

ამ თემში დაარსებული იყო ანბანის უცოდინარობის სალიკვიდაციო სამი სკოლა, რომლებშიაც დაამთავრა სწავლა 72 გლეხმა.

გლეხების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და გაიძახოდნენ: „შენი ჭირიმე, ამას რას მოვესწარით, ამ სიბერის დროს სკოლაში მუქთათ მიგვაბარეს და გვასწავლეს“. გარდა ამისა, ყოველგვარ კულტურულ საქმეებში, როგორიც არის სამკითხველოს მუშაობა, დრამატიულ წრეების და სხვა, ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას.

წალვერის თეატრი უკვე შეკეთებულია; ეხლა აშენებენ ახალ სახალხო სახლს ამავე თემის სოფ. დაბაში.

წალვერის თეატრში შემდგარია დრამატიული წრე მოზრდილთა და საბავშვო; იდგმება უფასო წარმოდგენები, რომელთაც მშრომელი გლეხობა სიამოვნებით ესწრება.

ხ. კიკნაძე.

ქ. ახალციხე.

კვირას, 20 მაისს ახალციხეში პროფ-კავშირების შენობის წინ შეიკრიბენ წითელი დროშებით მუშები, მოსამსახურენი, ახლო სოფლებიდან ზურნით გლეხები და ადგილობრივი მოქალაქენი, რომ ამხ. ვოროვსკის ვერაგულათ მოკვლისა და ინგლისის თავხედურ მემორანდუმის გამო თავი-

მუშათა ცხოვრება

ასოთ-ამწყობ ბესო მაისურაძის იუბილე

როგორც მკითხველმა ამხანაგებმა უკვე იციან, ა. წ. 8 ივნისს იუბილეს უმართავენ სახალხო სცენის ძველ მუშაკს ბესო მაისურაძეს, რომელიც დაუღალავად შრომობდა სახალხო სცენაზე 30 წლის განმავლობაში.

ამხანაგი ბესო მძიმე შრომას ეწეოდა სტამბაში ასოთ-ამწყობად, ხოლო სამსახურის შემდეგ სახალხო სცენაზე უხდებოდა მას მუდმივი მუშაობა, რის გამო მას ბევრნაირი გაჭირება და დამცირება აუტანია.

იმ დროს, როდესაც ბესოს უხდებოდა ტფილისის განაპირა უბნებში სახალხო სცენაზე მუშაობა, ძალიან იყო ჩამორჩენილი ხალხი, და არამც თუ აფასებდა თავის მუშაკს, არამედ მასხარადაც იგდებდა და ბევრნაირ დამცირებას აყენებდა. ბევრს სცენა ცირკად, ან „ბალაგანად“. მიაჩნდა და იქ მოთამაშენი „კლოუნებად“. აი ამ პირობებში უხდებოდა ამხ. ბესოს მუშაობა.

ამ დაუღალავ შრომისთვის ხალხის გათვითცნობიერების საქმეში, ასოთ-ამწყობ ბესო მაისურაძეს გაუმართავენ ამ ახლო ხანში იუბილეს.

ამ მიზნით, თანახმად ავლაბრის მუშათა კლუბთან არსებულ ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ წრესთან შემდგარ საინიციატივო ჯგუფის მიმართვისა, 27 მაისს ავლაბრის მუშათა კლუბში შედგა კრება პროფკავშირთა წარმომადგენლებისა და კერძო პირებისა. კრებას დაესწრო 24 კაცი.

კრებამ ერთხმად გადასწყვიტა დაუყოვნებლივ მოაწყოს ამხ. ბ. მაისურაძის იუბილე და აირჩია კიდეც იუბილეს მომწყობი კომისია.

საიუბილეო კომისიამ ამოირჩია პრეზიდიუმი და 4 ქვეკომისიები.

პრეზიდიუმში არჩეულ იქმნენ: თ. ნასიძე (თავმჯდომარედ), ზ. ჭიჭინაძე (თავმჯდომარის ამხანაგად) და ი. იმედაშვილი.

არჩეულ იქნა აგრეთვე სარედაქციო კომისია, საფინანსო კომისია, ტეხნიკური კომისია, სამხატვრო კომისია.

არჩეული პირები უკვე შეუდგნენ მუშაობას. იუბილეს გამართვის დღე და ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული.

იმედია, ყველა დარგის მუშები მხურვალე მონაწილეობას მიიღებენ ამხანაგ ბესო მაისურაძის იუბილეს მოწყობაში და შესაფერისად დააფასებენ მუშას, სცენის მოღვაწეს, რომელიც 30 წლის განმავლობაში დაუზარლად მუშაობდა და დღესაც მუშაობს.

მუშ.-კორ. პ. ახალკაცი.

რკინის გზის საავადმყოფო

აღნიშნულ საავადმყოფოს ამბულატორია დაყოფილია შვიდ კაბინეტად: პირველ კაბინეტში სინჯავენ შინაგან ავადმყოფებს; მეორეში—ყურის, ყელის და ქალის ავადმყოფებს, მესამეში—თვალის; მეოთხეში—კანის და ვენერიულ სენის; მეხუთეში—კბილის; მეექვსეში—ბავშვების და ციების ავადმყოფებს და მეშვიდეში—ნერვიულ ავადმყოფებს.

პირველ კაბინეტში შინაგან ავადმყოფების რიცხვი ყოველ დღე ასამდე აღწევს, აქ არის მხოლოდ ერთი ექიმი, რომელიც სინჯავს დილის 8 საათიდან. შინაგან ავადმყოფების გასინჯვას უფრო მეტი დრო და დაკვირვება სჭირია. და ამ მოვალეობას პირველი კაბინეტის ექიმი პირნათლად ასრულებს. ამიტომ იქ მუშაობა უფრო გრძელდება და ავადმყოფებსაც უფრო დიდხან უხდება ლოდინი. მართალია, პირველ კაბინეტს ეხმარება მეორე ექიმი, მაგრამ ეს მეორე ექიმი პირველ საათზე მოდის. და ეს უკვე გვიან არის. ზოგ ავადმყოფს ლოდინი ბეზრდება და შინ მიდის, რადგანაც ბევრ ავადმყოფს ძალა არ შესწევს იმ სიცხეში და იმ აუარებელ ხალხში რიგს დაუცადოს. შინაგან ავადმყოფებისათვის საჭიროა ორი კაბინეტი და ორივეში დილის რვა საათიდან ავადმყოფების მიღება, რომ ყველა ავადმყოფს საშუალება ჰქონდეს ექიმს ეჩვენოს და დახმარებაც დროზე მიიღოს.

მეორე კაბინეტში შემდეგი დეფექტია: ამ კაბინეტში ექიმთან ერთად ავადმყოფებს ღებულობს მოწყალების დაც და აქ თერთმეტ საათზე მუშაობა უკვე თავდება. ბევრი ავადმყოფი გაუსინჯავი რჩება. საჭიროა მეორე კაბინეტშიც ავადმყოფების მიღება დღის ორ საათამდე იყოს. ამასთანავე მოწყალების დისგან ავადმყოფების მიღება და ბიულეტენებზე ხელის მოწერა სრულიად დაუშვებელია.

მესამე კაბინეტში ციებით ავადმყოფების მიღება სწარმოებს კვირაში სამჯერ და სხვა დღეებში ეს ავადმყოფებიც ისევ პირველ კაბინეტს აწყდებიან და ამით იქ, სადაც ერთად ერთი ექიმია, მუშაობა უფრო ორკეცდება. შინაგან ავადმყოფობის ექიმებს ამბულატორიაში მუშაობის გათავების შემდეგ სახლებშიაც უხდებათ სიარული და მისთვის ტრამვაის ფულსაც სრულიად ვერ იღებენ საავადმყოფოს ადმინისტრაციისგან.

რაც შეეხება ნერვების ავადმყოფების კაბინეტს, იქ ავადმყოფების მიღება სწარმოებს ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით—დღეში მხოლოდ ერთი საათით. კოლექტიურ ხელშეკრულების და შრ. კომ. დადგენილებით კი ექიმები ამბულატორიაში უნდა მუშაობდენ არა ნაკლებ 4—5 საათისა. საერთოდ არ არის საფუძვლიანად და თანასწორულად განაწილებული ექიმთა შორის არც კაბინეტებში მუშაობა, არც სახლებში სიარული და არც საავადმყოფოში მორიგეობა საჭიროა ყველა ამაზე ყურადღების მიქცევა და აღნიშნულ დეფექტების გასწორება.

მუშკორი გიორგი ჩარხიშვილი.

ხაზინის მუშა-მოსამსახურეებში.

სახელმწიფო ხარჯზე მყოფ საფინანსო დაწესებულების მუშა-მოსამსახურეებს, როგორიც არის ხაზინა და სხვა, ეძლეოდათ და ეძლევათ ამ ჟამათაც ძალიან ცოტა ჯამაგირები, რის გამო მთავრობა დახმარების სახით იძლევა 4 პროცენტს გასამრჯელოს. მაგრამ ეს 4 პროცენტი გასამრჯელო ისე დაგვიანებით მოუდის დაწესებულებას, რომ იმის მიღება კარგავს ყოველივე მნიშვნელობას. მაგალითად, ეს 4 პროცენტი მარტის თვისა მივიღეთ ა. | წ. 26 მაისს და ისიც განაწილებული იყო უკანონოდ: ხაზინადარს მიეცა—11 854 000 მან. უფროს ბუხჰალტერს—9.612.000 მ., ბუხჰალტერს—3.680.000 მ., მოლარეს—9.108 000 მ., ბუხჰალტერის თანაშემწეს—2.268 000 მ. და დანარჩენი მუშა-მოსამსახურეები კი სულ ყველა ერთნაირად დაასაჩუქრეს—1.680 000 მანეთით. გაუგებარი რჩება ადგილკომისათვის, თუ რა პრინციპით ხელმძღვანელობდენ ჯილდოს განაწილების დროს მისი განმანაწილებელნი. თუ იმითი, რომ ჯილდო მეტის რაოდენობით უნდა მისცემოდა მას, ვინც მეტ ჯამაგირს ღებულობს, ჩვენის აზრით არც ეს „უსამართლო“ პრინციპია დაცული,—მაგალითად—მოლარეს, რომელიც თვეში ღებულობს 9,712.500 მანეთს, ჯილდო მიეცა 9,108,000 მ., ბუხჰალტერს კი, რომელიც ღებულობს ჯამაგირს 10,500,000 მანეთს თვეში, ჯილდო მიეცა 3,680,000 მან. და სხვა. თუ კი ფინსახკომის საანგარიშო განყოფილებას ნამდვილად სურდა ეს ჯილდო განაწილებულიყო მუშა-მოსამსახურეთა შორის სამართლიანად, მას მთელი ხვედრი ჯამი უნდა გადმოეგზავნა ხაზინისათვის და იგი თვითონ გაანაწილებდა მას თანამშრომლებს შორის სამართლიანად. ადგილკომი კი ზემოაღნიშნულ განაწილებაში ხედავს დიდ უსამართლობას.

გარდა ამისა ჯილდოს მიმღებთა სიაში მოთავსებულია ერთი შვიდი თვის წინეთ სამსახურიდან წასული თანამშრომელი, რომელსაც ხაზინიდან მთელი ანგარიში დიდი ხანია მიღებული აქვს. ამისთანა მოვლენებს არ უნდა ექნეს ადგილი.

იმედია ამას მიექცევა სათანადო ყურადღება, ვისგანაც ჯერ არს, და შემდეგში ადგილი არ ექნება ასეთ გაუგებრობას

ჩ.

ნაძალადევის თეატრში.

კვირას, 3 ივნისს ნაძალადევის თეატრში ადგილობრივ მუშა-მსახიობთა წრის მიერ—პავლე ფრანგიშვილის რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება პიესა „თამარ-ცბიერი“. ეს იქნება უკანასკნელი სპექტაკლი ამ სეზონში, ამხ. პავლე ფრანგიშვილის საბენეფისოდ. ამხ. ფრანგიშვილს კარგად იცნობენ ჩვენი მუშები, როგორც თავისი ერთგულ მსახიობ-მეგობარს; იმედია ამხ. მუშები მოვლენ ამ დღეს ნაძალადევის თეატრში და ღირსეულად დააფასებენ მუშათა უბნის დაუღალავ ერთგულ მუშა-მსახიობს.

მუშკორი ვასილ როინიშვილი.

იურიდიული დახმარება

ამხ. მუშებს.

(მუშათა სოციალური დაზღვევა)

კითხვა: რამდენი ხნის განმავლობაში ეძლევა დაზღვეულს დახმარება დროებით შრომის უნარის დაკარგვის გამო?

პასუხი: შრომის უნარ დაკარგულ დაზღვეულ მუშა მოსამსახურეს დახმარება ეძლევა შრომის უნარის დაკარგვის მომენტიდან მისი აღდგენის დღემდე. მაგრამ არა უმეტეს 4 თვისა. უკეთუ შრომის უნარის დაკარგვამ გასტანა 4 თვეზე მეტს, ამ შემთხვევაში დახმარებას ღებულობს ის უმუშევრობის დროისთვის არსებული დაზღვევის ფონდიდან იმავე ნორმით, რომელიც დაწესებულია შრომის უნარის დროებით მოკლებულთათვის. ამ ფონდის დახმარების მიღება გრძელდება ავადმყოფის მორჩენამდე, ან ინვალიდობის დადასტურებამდე.

კითხვა: ვინ ითვლება ოჯახის ისეთ წევრად, რომლის დასაფლავებისათვის კასის მონაწილეს შეიძლება მიეცეს დახმარება?

პასუხი: ასეთ წევრებად ითვლებიან: ცოლი, შვილები, შრომის უნარს მოკლებული დედ-მამა და სრულიად ობოლი მცირე წლოვანი და-ძმა, თუ ისინი იმყოფებოდენ კასის მონაწილის ხარჯზე.

კითხვა: რა დღიდან იწყება კასაში მონაწილეობა?

პასუხი: კასაში მონაწილეობა იწყება სამუშაოზე ან სამსახურში დაშვების დღიდან, იმ შემთხვევაშიაც, როცა მუშა-მოსამსახურე ითვლება გამოსაცვლელად, ან სასწრაფოდ მიღებულად.

კითხვა: როდის წყდება კასაში მონაწილეობა?

პასუხი: კასაში მონაწილეობა წყდება იმ ვადის გასვლის მომენტიდან, რომლითაც დაზღვეულს აქვს მიღებული სამუშაოდან დათხოვნის დროის კომპენსაცია.

თბილ. დამზღვევი კასა.

მუშათა ქრონიკა.

— **მუშათა ცენტრალური კლუბი.** 31 მაისს, ქართულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ირეთელის 5 მოქ. დრამა „დამარცხებულნი“.

— 1 ივნისს, აქვე სომხურ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება „მასხარა ტახტზე“.

— **მუშკორების კლუბი.** 26 მაისს, გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-ს ბინაზე შესდგა კლუბის მომწყობ კომისიის მორიგი სხდომა, რომელმაც დაადგინა—მიმართოს ამიერ-კავ. რაიკომს თხოვნით რათა კომისიას სასწრაფოდ მიეცეს ბინა კლუბის გასახსნელად—რუსთაველის ქუჩაზე.

— **საჰაერო ფლოტისათვის.** ს. მ. უ. ს. ლითონის განყოფილების პირველ ქარხნის მუშათა კრებამ დაადგინა—სთხოვოს მელითონეთა კავშირს, რათა ამ უკანასკნელმა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე არამშრომელი ელემენტების შემოსავლის კვალობაზე დაბეგვრისათვის საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ.

— **დუქნების დახურვა.** ლითონის 1 საბჭოთა ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა კავშირის საშუალებით შუამდგომლობა აღძრეს ქარხნის ახლო მდებარე დუქნების დახურვის შესახებ.

მათვე დაადგინეს ყველა არა ფხიზელი სახით სამუშაოზე მოსული დაჯარიმებული იქნეს ერთი დღის ხელფასის საბავშვო სახლების სასარგებლოდ გადადებით.

— **კულტ მუშაობა ქარხანაში.** ლითონის განყოფილების 1 ქარხნის მუშებმა დაადგინეს ჩაეწერონ პროფტეხნიკურ კურსებზე და აქტიური მუშაობა აწარმოვონ დრამატიული და მუსიკალური წრეების ქარხანასთან მოსაწყობად.

შრომის კანონების დამრღვეველთა გასამართლება.

შრომის ინსპექციამ შრომის დაცვის კანონების დარღვევისათვის ოქმი შეუდგინა შემდეგ ვაჭარ-ექსპლოატატორებს:

— **საოქრომჭედლო სახელოსნოს პატრონს მარტიროსოვს და დიანბეგოვს** (ოქრომჭედლების ქ. № 6) იმის გამო, რომ ისინი არ იცავდენ 6 საათის სამუშაო დროს მცირეწლოვანი ამირჯანოვის მიმართ, რომელიც არც დაზღვეული ყოფილა და რომელსაც არც საანგარიშო წიგნაკი აღმოაჩნდა.

— **სასადილოს პატრონებს ალშიბაიას და ეგნატაშვილს** (პუშკ. ქ. № 33) იმის გამო, რომ 3 მუშა შრომის ბირჟის გარეშე ჰყავდათ მიღებული და მცირეწლოვანი სხირტლაძის მიმართ არ იყო დაცული 6 საათის სამუშაო დრო.

— **სასადილო „ინტერნაციონალის“ პატრონს ქართველიშვილს, ჩალაძეს და გოგაძეს** (პუშკინის ქ. № 19) რომელთაც 3 მუშა არ ჰყოლიათ დაზღვეული, მათ არც საანგარიშო წიგნაკები უწარმოებიათ და არც ქონიათ შინაგანი მოწესრიგების წესებიც.

ანთი პროტესტი შეერთებიათ საბჭოთა რესპუბლიკების და სხვათა მშრომელი კლასის პროტესტისათვის.

დემონსტრაცია ნწყობრათ მუსიკით გაემართა ქ. ბაღისაკენ, სადაც გაიმართა გრანდიოზული მიტინგი. მიტინგზე გამოვიდენ ადგილობრივ მომუშავე ამხანაგები, რომელთაც ყოველმხრივ გააშუქეს თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა და ამხ. ვოროვსკის მოკვლის და ინგლისის მემორანდუმის მნიშვნელობა. მრავალრიცხოვანი მიტინგი დიდის ყურადღებით ისმენდა ყველა ორატორების სიტყვებს და ყოველი ორატორის სიტყვების შემდეგ გაიძახოდა: „ძირს ფაშიზმი“, „ძირს მოძალადენი“ და სხვ. დასასრულს მიტინგმა ერთხმად მიიღო ფიცი მსოფლიო პროლეტარიატის და მისი ბელადის ამხ. ლენინის წინაშე, რომ ისინი ეცდებიან განამტკიცონ მშვიდობიანი ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან და თუ მუხანათური ბურჟუაზია მოინდომებს საბჭოთა რესპუბლიკების საზღვრების გადმოლახვას, მაშინ ყველანი, როგორც ერთი კაცი, იარაღით ხელში უკანასკნელ სისხლის წვეთამდე მზათ არიან დაიცვან მუშებისა და გლეხების ხელისუფლება.

მიტინგის დასრულების შემდეგ დემონსტრაცია მუსიკით გაეშურა ქალ. ქუჩებისაკენ, სადაც თავიანთი საპროტესტო ყიჟინით ამცნეს მთელ ქალაქს ახალციხის მშრომელი ხალხის ნების-ყოფა მსოფლიო მოძალადების მიმართ.

ქ. ხ.

სეტყვა ს. ხაშმში (სართიჭალის თემი).

ცხრამეტ მაისს, ს. ხაშმის მშრომელ ხალხს თავს დაატყდა დიდი სტიქიური უბედურება. მოვიდა სეტყვა. ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ იქმნა დათვალიერებული დაზარალებული ადგილები და აღმოჩნდა, რომ დაახლოებით ვენახები დასეტყვილა 300 დესეტინამდე, ნიაღვრისგან გაფუჭებულა ნათესები სარწყავების და წისქვილების არხები. მოსალოდნელია მომავალი წლისთვის ხაშმი დაიმშეს, ვინაიდან ერთ ერთი წყარო ცხოვრებისა ეს ვენახები იყო და პურეულობას იქ ძალიან ცოტათი მისდევენ. საჭიროა მთავრობამ მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება ამ მოვლენას.

გ. ქ.

მადლობა მიწად-მოქმედების სახალხო კომისარს

(წერილი რედაქციის მიმართ).

მათხოჯის სახალხო სახლის აღმაშენებელი საბჭო სიამოვნებით აღნიშნავს მიწად-მოქმედების სახალხო კომისარის, ამხ. ვანო სტურუას ყურადღებას სოფლად კულტურულ დაწესებულებათა შენობის აგებისათვის და მადლობას სწირავს მათხოჯის სახალხო სახლისთვის რომელშიდაც უნდა მოთავსდეს სასწავლებელი, ფოსტა-ტელეგრაფი, აფთიაქი, საექიმო პუნქტი, კოოპერატივი, თეატრი)—სამასი ძირი ხის უფასოდ დათმობისათვის.

მათხოჯის სახალხო სახლის აღმაშენებელ საბჭოს პრეზიდიუმი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დეკრეტი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. მაისის „17“

დროებითი შრომის უნარ დაკარგულობის ჟამს, მუშა-მოსამსახურეთა უზრუნველყოფისა და სხვაგვარი დამატებითი უზრუნველყოფის შესახებ საკავშირო საბჭოს მიერ 1922 წ. აგვისტოს 23 თარიღით გამოცემული დეკრეტის 1, 2 და 8 მუხ. შესაცვლელად ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს: მუხ. 1, 2 (უშენიშვნოდ) და 8 მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხ. 1. ყველა მშრომელთაგანს, რომელიც დაქირავებით ეწევა მუშაობას თუ სამსახურის სახელმწიფო, საზოგადოებრივ, საკონცესიო, საიჯარო და კერძო საწარმოში დაწესებულებაში და მეურნეობაში, აგრეთვე კერძო პირთან,—დროებითი შრომის უნარდაკარგულობის ჟამს, იმისდა მიუხედავად, თუ რა მიზეზით იქნა ეს გამოწვეული,—უფლება აქვს მიიღოს დახმარება ქვემოდ აღნიშნული მუხლების საფუძველზე.

მუხ. 2. დახმარება დროებით შრომის უნარდაკარგულობის დაზღვევის ფონდიდან გაიცემა ამა თუ იმ საწარმოს ან დაწესებულების სათანადო კატეგორიის სატარიფო განაკვეთის რაოდენობით, რაც იქნება დახმარების მიცემის ჟამს, ხოლო არა ნაკლებ იმ სამუშაო საყიდლისა, რასაც შრომის უნარდაკარგული ფაქტიურად იღებდა იმ პერიოდში, რომელიც უშუალოდ წინ უძღოდა შრომის უნარდაკარგულობას. დახმარება გაიცემა შემდეგ შემთხვევაში:

ა) ავადმყოფობისა, დაშავებისა ან ოჯახის ავადმყოფი წევრის აუცილებელი მოვლისათვის მთელი იმ დროს განმავლობაში, ვიდრე განიკურნებოდეს, ან საექიმო ექსპერტიზის ორგანო გადასწყვეტდეს შრომის უნარდაკარგულობის სიმყარეს.

ბ) ორსულობისათვის—ფიზიკური შრომით მომუშავეს რვა კვირის განმავლობაში მშობიარობამდე და რვა კვირის განმავლობაში მშობიარობის შემდეგ, ხოლო დანარჩენთ—ექვსი კვირის განმავლობაში მშობიარობამდე და რვა კვირის განმავლობაში მშობიარობის შემდეგ.

გ) უკეთუ კარანტინშია,—კარანტინის დამთავრებამდე.

მუხ. 8. უკეთუ ლიკვიდაცია მოხდება საწარმოსი, დაწესებულებისა და მეურნეობისა ან მუშაობის დროებითი შეჩერება ან და შტატების შემცირება, მუშა-მოსამსახურენი, რომელთა დროებით შრომის უნარდაკარგულობა დაიწყო საწარმოს ლიკვიდაციამდე, ან მუშაობის შეჩერებამდე, ან და შტატების შემცირებამდე,—განაგრძობენ დროებით შრომის უნარდაკარგულობის დახმარების მიღებას, აგრეთვე სხვაგვარი დამატებითი უზრუნველყოფისას მათი ოჯახის წევრთათვის დროებით შრომის უნარდაკარგულობის დაზღვევის ფონდიდან მთელი იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე განიკურნებოდენ, ან საექიმო ექსპერტიზის ორგანო გადასწყვეტდეს შრომის უნარდაკარგულობის სიმყარეს.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ. საბჭოთა რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი—მ. პოლისი,

ცირკულიარი № 18.

ა. | კ. შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოსი საქართველოში.

„26“ მაისი—1923 წ.

შრომის ბაზრის მომწესრიგებელ ადგილობრივ ორგანოების შესახებ“

შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოების მიერ—შრომის ბაზრის მოწესრიგების იძულებითი მეთოდებიდან დამქირავებელთა და შრომის მაძიებელ პირთა შორის—შუამავლობის პრინციპზე გადასვლის გამო, თანახმად ა. | კ. შრომის სახალხო კომისარიატის ამა წლის 18 აპრილის დადგენილებისა, შრომის ბაზრის მომწესრიგებელ ადგილობრივ ორგანოების მოწყობის შესახებ, აქამდე არსებულ დადგენილებათა ცირკულიარების და განკარგულებათა გასაუქმებლად, ა. | კ. შრომის სახალხო კომისარიატის საქართველოში რწმუნებულის სამმართველო ადგენს:

1. ადგილებზე შრომის ბაზრის მოწესრიგების ადგილობრივ ორგანოებს წარმოადგენენ. ა) ქალაქებში—ტფილისსა და ბათომში—შრომის ბირჟები პარიტეტული კომიტეტებით. ბ) ქალაქებში—სოხუმსა, ქუთაისსა, ფოთსა, ბორჯომსა და ჭიათურაში—საკორესპონდენტო პუნქტები, რომლებიც არსებობენ შრომის განყოფილებებთან, პარიტეტულ კომიტეტების მოუწყობლად, გ) დანარჩენ ქალაქებში—შრომის ინსპექტორთა კამერები.

2. შრომის ბირჟების მოვალეობებს და ფუნქციებს წარმოადგენენ.

ა) რეგისტრაცია განურჩევლად ყველა პირებისა: რომლებიც ნამდვილად ეძებენ სამუშაოს;

ბ) რეგისტრაცია მუშა-ხელის მოთხოვნისა;

გ) შემოსულ მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ე. ი. ვარგისობის მიხედვით უმუშევართა სამუშაოზე გაგზავნა.

დ) შრომის ბირჟების კომიტეტების მიერ უმუშევრობასთან საბრძოლველად საქმის ნორმალური დაყენება, ე. ი. საშუალებათა გამონახვა უმუშევართა ყოფა მდგომარეობის გაუმჯობესობისა, საზოგადო სამუშაოთა და არა ჩაკეტილ ტიპის შრომის არტელების მოწყობისათვის და სხვა.

3. შრომის განყოფილებებთან არსებულ საკორესპონდენტო პუნქტების მოვალეობებს და ფუნქციებს წარმოადგენენ ის ფუნქციები, რომლებიც დავალებული აქვთ შრომის ბირჟებს, მხოლოდ გამარტივებულ საქმის წარმოების სისტემით და პარიტეტულ ორგანოების (კომიტეტების) მოუწყობლად, მაგრამ უმუშევრობასთან ბრძოლას აწარმოებს ადგილობრივი შრომის განყოფილების გამგე, გაერთიანებულ პროფ-ორგანიზაციებთან და აღმასკომებთან ერთად.

4. საქართველოს დანარჩენ ადგილებში შრომის ბაზრის მოწესრიგება, როგორც ასეთი—გაუქმდეს და მის ნაცვლად შემოღებული იქნას შრომის ინსპექტორთა კამერებში მუშა-მოსამსახურეთა დაქირავების შემთხვევათა შემდეგი რეგისტრაცია, ამის შესახებ არსებულ დებულების მიხედვით და შრომის მაძიებელ პირთა წინასწარი ჩაუწერლად.

5. ცირკულიარი ესე ძალაში შედის 1923 წლ. 1-ლ ივნისიდან, რომლის გატარებისათვის პასუხისმგებლობა ედება ა. | კ. შრომის სახალხო კომისარიატის საქართველოში რწმუნებულის სამმართველოსა და ადგილობრივ ორგანოების ხელმძღვანელთ.

ა. | კ. შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოში—ა. იაშვილი.
ცენტრალურ შრომის ბირჟის გამგე—ვ. ბერბერაშვილი
საერთო—საორგან. გან. გამგე—ლ. ქურდოვანიძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება ა. | წ. 1 ივნისისათვის დღის 1 საათზე იწვევს რაიკომების საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებების გამგეების თათბირს.

დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

თბილისის კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილების გამგე მ. ესსენი.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება ორშაბათს 4 ივნისს, დღის 1 საათზე იწვევს საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების კოლეგიის თათბირს.

დღის წესრიგი:

1. საქ. პროფკავშირთა საბჭოს კულტ-განყოფილების ანგარიში, 2. კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ანგარიში, 3. მიმდინარე საქმეები.

მოწვეული არიან: საქ. პროფკავშირთა საბჭოს კულტ-განყოფილების კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების, კავკასიის ცალკე არმიის პოლიტიკურ სამმართველოს, ქალთა განყოფილების და თბილისის პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოს წარმომადგენლები და რაიკომების საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებების გამგეები.

— საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ ხუთშაბათს 31 მაისს დილის 8 საათზე საქართველოს კომკავშირის თბილისის კომიტეტის ბინაზე შესდგება თბილისის კომიტეტის პლენუმის სხდომა რაიკომების ბიუროებთან ერთად. დღის წესრიგში დგას მნიშვნელოვანი საკითხები. თბილისის კომიტეტის და რაიკომების ბიუროს წევრთა დასწრება სავალდებულოა.

საქ. კომკავშირის თბილისის კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანის მაგ.
მეტონიძე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტი.

— ხელმეორეთ აძლევს წინადადებას თბილისის უმაღლესი სასწავლებლების ყველა მასწავლებლებს, დოცენტებს და პროფესორებს, რომლებიც კომუნისტური პარტიის წევრები ან კანდიდატები არიან, პარტიული დისციპლინის ძალით გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის სააღრიცხველო-სტატისტიკურ განყოფილებაში რეგისტრაციაში გასატარებლად.

თბილისის კომიტეტის მდივანის მაგ. რუბენი:
სააღრ.-სტატ. განყოფ. გამგე ვულფოვიჩი.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიონული კომიტეტი აცხადებს, რომ ხუთშაბათს 31 მაისს ნაშუადღევს ორ საათზე რაიკომის ბინაზე (მიხეილის ქ. № 96) დანიშნულია მეორე რაიონის უჯრედებში პარტმუშაობის გამოსაკვლევად გაგზავნილ ამხანაგების და უჯრედების მდივნების კრება.

თათბირზე უნდა გამოცხადდენ მეორე რაიონის ორგანიზაციის უჯრედების ყველა მდივნები და საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის მიერ პარტმუშაობის გამოსაკვლევად გაწვეული შემდეგი ამხანაგები:

1. ქავთარაძე ლადო, 2. ვირაპი, 3. სოკოლოვსკი, 4. ავაქოვი, 5. ჯანელიძე, 6. პენიაკოვი, 7. კალანდაძე ერ., 8. კოსტანიანი, 9. სოლოვიანი, 10. მინასიანი, 11. ტატულოვი, 12. ფიალკოვსკი, 13. გუსეინოვი, 14. კარპ, 15 ადამიძე, 16. პანკრატოვი, 17. ხალიანი, 18. ესაიანი, 19. ტალიბლი, 20 ნიკოლოზ ამირაგოვი, 21. პოლის, 22. ალი ტაგი-ზადე, 23. სტეფანე დანდუროვი, 24. შავერდოვა ს., 25. ერქომაიშვილი, 26. ამო, 27. გოლდბაუმი, 28. არუსტანოვი, 29. ფრალოვი, 30. ვართაპეტოვი, 31. ტაკოევი, 32. კილოსანიძე, 33. ბახუტოვი, 34. კაფაროვა, 35. მიხაილოვი, 36. ივანიანი, 37. ქორიძე, 38. გინზბურგი, 39. ქვანია, 40. ესსენ ა., 41, ესსენ მ., 42. ვრანგელიანი, 43. რასულ-ზადე, 44. სტეფანოვი.

მეორე რაიკომის მდივანი: აკოფოვი.

— ქართულ დივიზიასთან არსებულ პარტ-კომისია სთხოვს ყველა სამაზრო და რაიონულ პარტიულ კომიტეტებს, რათა სასწრაფოთ გვაცნობონ თუ იმყოფებიან ქვე ჩამოთვლილი პარტ-ამხანაგები მათ რაიონებში: კარაიძე ეფიმ გიტოს ძე, ბერია გერასიმე დიმიტრის ძე, ხიჯარაძე აპოლონ კირილეს ძე, არუცოვი ლევან გეორგის ძე, ქერივიშვილი ლევან სიმონის ძე, აბულაშვილი მიხეილ დავითის ძე, ჩახნაშვილი გრიგოლი მიხეილის ძე, მანაძე ვარდენ გრიგორის ძე. ცნობები უნდა იქმნას რაც შეიძლება დაჩქარებით გადმოგზავნილი. ქარ. დივიზიის პოლიტ-განყოფილებაში რუსთაველის ქ. (ყოფილი კადეტთა კორპუსის შენობაში).

მარქსისტული წრეების მეცადინეობის ცხრილი 27 მაისიდან 3 ივლისამდე)

— შაბათს, 2 ივნისს, დღის 8-დან 10 საათამდე. ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიასთან არსებული წრე, ხელმძღ. ამხ. ლიბახი.

— საგანგებო დანიშნულების ნაწილების და „მეჭდავეების“ წრეებში, ხელმძღვანელების გამგზავრების გამო, მეცადინეობა დროებით შეწყდა.

პროფესიონალური.

განათლების მუშაკთა სახლში.

პარასკევს 1 აპრილს საღამოს 7 საათზე შესდგება ტეხნიკუმების მასწავლებელთა კრება: 1) დროებით ბიუროს ინფორმაცია. 2) ორგანიზაციული საკითხები.

სახლის გამგე შიუკაშვილი-კალიუჟნაია.

საქართ. პარტიულ-საბჭოთა პრესის
ცენტრალურ კანტორაში
(ყოფ. გაზტრესტი), რუსთაველის პროსპ. № 26. ტელეფ. № 5—43.
ივნისის თვეში გაზეთ „კომუნისტ“-ზე დაწესებულია შემდეგი ფასები შინ მიტანით:

საერთო ხელის მოწერა	1.250.000
კოლექტიური ხელის მოწერა მხოლოდ მუშებისათვის	800.000
ერთი ეგზემპლიარი	50.000

ცენტრალური კანტორა სთხოვს ყველა ხელის მომწერლებს 1 ივნისამდის შემოიტანონ ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთი ნისიათ არავის არ გაეგზავნება. 3—1

Центральная Контора Партийно-Советской прессы Грузии.
(бывший Газтрест), просп. Руставели № 26.
доводит до всеобщего сведения, что принимается подписка на все
Московские и Петроградские газеты и журналы
с доставкой на дом. Контора наладила вполне прочную и систематическую связь с Москвой и она ручается за своевременную и аккуратную доставку газет и журналов. Все газеты и журналы в розницу требовать ежедневно от газетчиков г. Тифлиса. 3—1

განცხადებები

ოპერა დღეს ხუთშაბათს 31 მაისს
სეზონის დახურვა
ა. რ. წუწუნავას
საღამო
1. აბესალომ და ეთერი
2. სევილიელი დალაქი
3. კარმენი
4. ევგენი ონეგინი
5. თავადი იგორი.
432 1—1

ქ. ბათომის
სახ. სასამართლოს აღმასრულებელი
ვ. ჩიტია ამით აცხადებს,
რომ 2 ივნისს, 1923 წ. დილის 9 საათზე, ქალ. ბათომში იქნება მოხდენილი საჯარო ვაჭრობა გასასყიდად ფირმა „სოსიფროსის“ ქვემონაჩვენებ ქონებისა:

1. ავტომობილები (2—მსუბუქი „ფიატი“ და „ლაურ-კლემენტი“, 2—ნახევარტვირთ. „ფიატი“ და 1—ტვირთმზიდავი „პაკკარდი“ სულ	5 ცალი
2. ავტომობილის შინები (პაკრიშკები) სხვა და სხვა ზომებისა	265 „
3. ავტომობილების კამერები	478 „
4. „ „გრუზოშინები“	17 „
5. ავტომ. ნაწილ. სხვა და სხვა „ფიატი“-სთვის	—
6. ლამპოჩკები ელექტ. სხვა და სხვა ზომისა	723 „
7. საპონი მარსელის „კლეტკა“	112 ყუთი
8. ლილა 33 ბოჩკა	146 ფ. 28 გ.
9. ტყავები თხისა უბრალო და შევრეტი (ემიტაცია)	98 ცალი
10. პაპიროსის ქაღალდი ოთხი ყუთი, თვითეულში 657 კოლოფი	—
11. რძე გაწმენდილი	297 ყუთი
12. ცულები ფოლადისა	1497 ცალი
13. ფოლადი სხვა და სხვა	1361 ფ. 17 გ.
14. ხელსაწყობები სხვა და სხვა (შეედური კლიტეები და სხვა.	—
15. ლამპები („პაილნი“)	27 ცალი
16. ქვები ასანთისა	13 კილო
17. მატყლი აქლემის	309 ფ. 22 გ.
18. სპილენძი მტვრეული	1012 ფ. —
19. სხვა და სხვა ინვენტარი და კანტორის მოწყობილება (სალაროები, მაგიდები, სკამები, შკაფები, საწერი მანქანები და სხ.)	
20. სხვა წვრიმალი საგნები	—

ეს ქონება აღწერილია დასაფარავად საღერბო ჯარიმის 259.283 მან. ოქროთი თანხაში, რომელიც მისჯილი აქვს ფირმა „სოსიფროსისაგან“ ხაზინას ქ. ბათომის პირველი უბნის სახალხო სასამართლოს დადგენილებით. აღნიშნულის აღმასრ. ფურც 23 მარტის 1923 წ. თარიღით № 473. საერთო ჯამი ზემო ნაჩვენები ქონებისა უდრის 65.476 მანეთს ოქრ. ქონება გაიყიდება ადგილობრივ ბათომის საწყობში, აგლობჟინის ქ., 26. გაშინჯვა შეიძლება 1 ივნისს (9—2 ს.) და საჯარო ვაჭრობის დღეს. სასამ. აღმასრულ. ვ. ჩიტია.
(კრ. 424 0—3

განათლების სახალხო კომისარიატის მთავარ პროფგანათლების მუშათა ფაკულტეტების სექტორის გამგებლობაში მყოფი
ი. ფ. პალატნიკოვის
ბუხჰალტერიის პრაქტიკული კურსები პლეხანოვის პრ. № 132.
სწარმოებს მიღება ახალ ჯგუფებში.
(15—11) კურსების გამგე ი. პალატნიკოვი.

ელექტრონის სინათლის და
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახლობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.
საავადმყოფო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (501—25—13)

დავკარგე სახლის წიგნი მარიამ სუკოვიცინის სახლისა საბურთალოზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (739—1—1)

დავკარგე პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 880 ბარნაბა სიმონის ძე გოცაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე პირადობის მოწმობა მოცემული ოზურგეთის მაზრის სამმართველოსაგან № 56 ნოე სიმონის ძე ძიძიშვილის სახელზედ. ჩაითვალოს გაუქმებულად. 738 1—1

ს. ს. ს. რესპუბლიკის
მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის ცენტრალურ საწყობში
(ელისაბედის ქუჩა № 164).
იყიდება უცხოეთიდან მიღებული სასოფლო-სამეურნეო მანქანების, იარაღების და მშრალი ქიმიურ სალებავების დიდი პარტია
ფასები ზომიერია. შეძენა შეუძლია ყველას.
მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის საწვრილმანო მაღაზიაში
(რუსთაველის პროსპექტი № 24 და მუშტაიდში) შეიძლება შეძენა: სასოფლო-სამეურნეო იარაღების და მანქანების ცალკე ნაწილების; საექიმო მასალების, ნატურალური ღვინოების ყოფ. საუფლისწულო მამულებიდან, შინამრეწველობის ნაწარმოებთა და სხვა.
საწვრილმანო მაღაზიაში რუსთაველის პრ. № 24 იყიდება მანუფაქტურა: ჩითი, ნარმა, ტილო, თავსახვევები და სხვ. (კრ. 420 3—3

[illegible]